472/2000
2000
2001
2002

# ქუჯი

„... და მაშინ
განიხარონ ყოველთა
ქართველთა“

საქართველოს ჰელსინკის კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის გაზეთი №1, 2000 წ. ფასი 30 თეთრი

**ინფორმაცია კოლხური კოშკიდან**

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მრგვალი მაგიდის განცხადება**

გვ. 3

**ფრაგმენტები ჩვენი დღევანდელი ყოფიდან**

**რატომ აძლევს ხელს ფაქტობრივ ხელისუფლებას ქუჩაში მოწყობილი პიკეტები**

გვ. 4

**მრუდე სარკე და სინამდვილე**

**ეს არ იყო სამოქალაქო ომი, ეს იყო რუსეთის აგრესია!**

გვ. 4








**საქართველოს სხვა ახალი ამბები**

**ამ მთავრობას სჭირდება დასაჩოქებელი საბაბი!**

გვ. 3

**ჩვენი რწმენა**

**ჩვილი წმიდა ნიკოლოზი ნათლობისას ემბაზში სამი საათი ფეხზე იდგა**

გვ. 5

**ცნობები დანარჩენი მსოფლიოდან**

**ბუშმა გაიმარჯვა, გორმაც...**

გვ. 3

**კადრები ქუთაისის უახლოესი წარსულიდან**

**იარაღით დატვირთული თვითმფრინავი აღარავის უნახავს**

გვ. 2

**პოეზია**

**აბა ჰე, აბა ჰო, რუსის ჩექმებო...**

გვ. 7

**ეკონომიკა**

**მდგომარეობას მხოლოდ კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის აღდგენა გამოასწორებს**

გვ. 6

**ისტორიის გაკვეთილები**

**და ვჭამოთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა?**

გვ. 5

**სხვადასხვა**

ცეინსაწნეხი,
ჯეიმსცი,
ლონე
და...

გვ. 8

-224-

# ჩვენ და ჩვენი გაზეთი „ქუჯი"

ჩვენს მორეულ წინაპრებს 5000 წლის წინ უკვე დიდი ცივილიზაცია ჰქონდათ შექმნილი - მტკვარ-არაქსის კულტურა. ასევე ჩვენი წინაპრების მიერაა შექმნილი შედარებით გვიანდელი თრიალეთის კულტურა. შემდეგ იყო მრავალსაუკუნოვანი ბრძოლები მომხდურთან და ისევ დიდი კულტურა - ცნობილი კოლხური ცივილიზაცია, რომელიც მტკვრის ზემო წელის ზეობას მცხეთა-თბილისამდე, ჭოროხის ზეობას, დასავლეთ საქართველოსა და ლაზეთის ზეობას მოიცავდა (ვადიდოდა კავკასიის ნაწილებში...). ისევ დიდი ბრძოლება მომხდურთან... ისევ ერთიანდება საქართველო ქუჯისა და ფარნავაზის დროს... კვლავ თავდაცვითი ბრძოლება: ქრისტიანობა აკეთილშობილებს ჩვენს ეროვნულ სულს და უფრო იწრთობა ქართული ხმალი გორგასლის ხელში. კავკასიის ერთიანობის ფარნავაზისეულმა იდეამ ქართულ მეფეს ალბუზზე დადგმევინა ფეხი, მაგრამ ისევ მწარე ბრძოლება... შემდეგ ბაგრატის ტახტი და ანისის დამპყრობელი დიდი დავით აღმაშენებლის ძლევამოსილი საქართველო... და კვლავ მომხდურნი - მონღოლთა ხროვა. გიორგი ბრწყინვალის პერიოდს ისევ გადარჩენისათვის ბრძოლა ენაცვლება: სპარსელები, თურქები, რუსები...

გაჭირვება გმირებს შობს: ცოტნე დადიანის კვალს მიჰყვებიან: ალექსანდრე ბატონიშვილი, პავლე ინგოროყვა, ლევან გოთუა, მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია... XX ს-ის მეორე ნახევარში მსოფლიოში პიროვნული და ეროვნული უფლებებისათვის ბრძოლა ახვა მასშტაბს ღებულობს; სწორედ ამიტომ, კოლხურ კოშკში გაჩნდა იდეა, შექმნილიყო საქართველოს ჰელსინკის კავშირი - საქართველოს ღირსების აღდგენისათვის მშვიდობიანი გზით მებრძოლი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია; იწყება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა.

1990 წლის 28 ოქტომბერი: ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას და, ზოგადად, 9 აპრილის გმირთა სულისკვეთებამ ჩვენი ქვეყანა გამოარჩია რუსეთის კოლონიური იმპერიის ველიდან: საქართველოს ჰელსინკის კავშირის ხელმძღვანელობით და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალისხმევით საქართველოში ჩატარდა პირველი არასაბჭოთა მრავალპარტიული საყოველთაო არჩევნები და პირველი საყოველთაო რეფერენდუმი; შედეგად საქართველომ ზუსტი იურიდიული ხვლებით უსისხლოდ დააღწია თავი სისხლიანი იმპერიის მარწუხებს; მაშინ მთელ მსოფლიოს მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ: „ქართველმა ხალხმა თავისი ნება ყველა კანონის დაცვით გამოხატა; ჩვენ დამოუკიდებლობა აღვიდგინეთ 1921 წლის პუტჩით შეწყვეტილი სამართალმემკვიდრეობის საფუძველზე; აღიარეთ ჩვენი დამოუკიდებლობა; თქვენი აღიარება გვიხსნის რუსეთის მორიგი შეიარაღებული აგრესიისაგან..." აქ მინიშნებული იყო: „დასავლეთის თუ აღმოსავლეთის სახელმწიფოებმა XX საუკუნეში უკვე ერთხელ გაგვწირეს სარუსეთოდ; ნუღარ იზამთ იგივეს ახლა...".

ახლო აღმოსავლეთი საკუთარი პრობლემების ველში იხარშებოდა; შორეული აღმოსავლეთი შორს იყო; დასავლეთ ევროპა აღმოსავლეთ ევროპის გასათავისუფლებლად ემზადებოდა, ამერიკა კი, 1990 წელს, მალტაში რუსეთთან „გაჭრილ" ხელშეკრულებას დებს: ევროპაზე კონტროლი (ბალტიისპირეთის ქვეყნების ჩათვლით) - ამერიკას; შუა აზია, კავკასია, უკრაინა, მოლდოვა, ბელორუსია - რუსეთს!

ზვიად გამსახურდია, აბულფაზ ელჩიბეი და ჯოხარ დუდაევი ამაოდ ცდილობენ თავიანთი ხალხების ტრაგედია და ნება დაანახონ პოლიტიკის რინგში მყოფ დასავლეთ სამყაროს; აღმოსავლეთი ხომ ისედაც „ვერ გვხედავს", მით უმეტეს, ქართველებს...

1992 წელს რუსეთმა, ავანტიურისტი კრიმინალებისა და საქართველოში ხარფანი პროვოკაციის მონაწილე უგონო ნულოვანი ადამიანების დახმარებით სისხლში ჩაახშო საქართველოს, აზერბაიჯანისა და ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა. საქართველოში მოვლენები ასე განვითარდა:

დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და მრავალპარტიულ საპრეზიდენტო არჩევნებში ზვიად გამსახურდიას გამარჯვების შემდეგ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ზუსტი იურიდიული სვლებით პრეზიდენტი გამსახურდია იმპერიას სამუდამოდ დააკარგვინებდა საქართველოს (რაც რუსეთისათვის კავკასიის დაკარგვასაც მოასწავებდა!); კრემლში აქტიურად დაიწყო საქართველოში ხელისუფლების დამხობისათვის მზადება: სამაჩაბლოში, აჭარასა და აფხაზეთში არეულობანი დესტაბილიზაციაში ვერ გადაიზარდა, ახალქალაქის გამოყენება ვერ შეძლეს ყარაბაღის გამო, ამიტომ, ამ საუკუნეში მეორედ დაიწყეს საქართველოში „შავი აჯანყების" გეგმის განხორციელება: ახალი ორჯონიკიძეების - კიტოვანისა და სიგუას წინამძღოლობით. კრემლმა (ახალი ლენინ-სტალინის - გორბაჩოვ-შევარდნაძის „დასტურით") შეძლო შიდა ამბოხების პროვოცირება, „ამბოხის" განვითარებით რუსეთი შემდეგ მოვლენებს გეგმავდა: გამსახურდია იარაღიან პუტჩისტებს იარაღითვე გაუსწორდებოდა; ამით კომუნისტ რუს-ქართველ „დემოკრატებს" ფართოდ გაეხსნებოდათ გზა ჭანტურიებისა და წერეთლების უკვე მომზადებული პლაკატები - „დიქტატორი", „ჩაუშესკუ" - რეალურად მოეყვანათ მოქმედებაში; რუსეთისა და მაშინდელი დასავლეთის მამებია კი მალტის გარიგების მონაწილედვე საქართველოს ხელისუფლებას სამუდამოდ დააკარგვინებდა ეროვნული, დემოკრატიული და ზნეობრივი ხელისუფლების სახელს, რასაც მექანიკურად მოჰყვებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის დისკრედიტაცია და ეროვნული ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის იძულებითი გადაცემა პრორუსული ხელისუფლებისათვის...

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ მაშინ თქვა ისტორიული ფრაზა: „ახინი ტყვიას გვესვრიან, ჩვენ ყვავილები ვესროლოთ!" - ბევრი ხუმრობდა მაშინ ამ საზარებისეულ შეგონებაზე, რომელიც, ამავე დროს, პოლიტიკური სიბრძნით იყო ნაკარნახევი.

პრეზიდენტს არ უნდოდა სისხლისღვრა (მით უმეტეს, პუტჩისტთა ფიზიკური განადგურება არ იყო გამოსავალი), თბილისის ზღვაზე დაბანაკებულ კიტოვან-სიგუას დაჯგუფებას იგი შეცდენილ ბიჭებად თვლიდა და ხანგრძლივი მოლაპარაკებებით ცდილობდა მათთვის თვალის ახელას (მოლაპარაკების მასალების ქსეროასლები გამოქვეყნებულია ჩემს წიგნში) „აფხარტუდან გამსახურდიამდე ანუ აქშვის უდაბნოში"); ამასობაში პრეზიდენტი ხალხს მოუწოდებდა ბალტიისპირეთის მოსახლეობის მსგავსი ერთიანობისაკენ რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ, რომელიც ფაქტობრივად ამ ამბოხების სახით ხორციელდებოდა... უზენაესი საბჭოს საპარლამენტო ოპოზიცია და ქუჩაში დარჩენილი პოლიტიკოსები, ბოროტად იყენებდნენ რა ეროვნული ხელისუფლების დემოკრატიულ პრინციპებს, მასმედიის საშუალებით აბნევდნენ ხალხს და რუსული საყრდენის წარმოჩინების ნაცვლად, გამსახურდიას „დიქტატორობისა" და „მერხედუხების" თემით იჭყლეტდნენ ენებს.

სამწუხაროდ, საზოგადოების დაბნევას ხელი შეუწყო კომუნისტური ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა, რომელიც რუსულ ტანკებში აღმოჩნდა და „ახალ", პუტჩისტურ „პარლამენტს" ორგანულად შეერწყა (და საქართველოს უბედურების ერთ-ერთი ავტორიც დღესაც!).

საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლება გეგმავდა რუსულ-კრიმინალური შემოტევებისათვის გაუძლო სხრ კავშირის ოფიციალურ დაშლამდე და საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებამდე, მაგრამ რუსებიც თავისას გეგმავდნენ, დასავლეთელი პოლიტიკოსებიც თავისთავს თვლიდნენ და... ამ ბრძოლაში ჩვენ (ქართველები) დროებით დავმარცხდით, საქართველო ეხრდება „შეათიოეს", ეკონომიკა განადგურდა, ხალხი მოეკვეთეგ და სიბნელეს შეაჩვიეს... თუმცა, კანონიერმა ხელისუფლებამ მოიპოვა იურიდიული სამართალმემკვიდრეობა - მომავალი ბრძოლების ფუნდამენტი შეინარჩუნა.

1992 წლიდან საქართველოში ისევ თვითგადარჩენისათვის ბრძოლის პერიოდი დგება და დრო იწყება. სისხლისღვრის გარეშე დამხობილ პირველი პრეზიდენტი და ჩეჩნეთის შეფარვა თავს განდევნილი საკანონმდებლო ორგანო - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მთავრობა 1992 წელს გროზნოში შეიკრიბა და დაგმო რუსეთის ძალადობა საქართველოში, ჩეჩნეთში, აზერბაიჯანში... პრეზიდენტმა განდევნილ დეპუტატებს ძალების მოკრებისაკენ მოუწოდა: მთავარია, საქართველოს შევუნახოთ პოლიტიკური იარაღი - კანონიერი ხელისუფლების იურიდიული ბაზისი, ეს შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ უზენაესი საბჭოს გადარჩენით; ნუ მიიღებთ მონაწილეობას უკანონო არჩევნებში - ფსევდოარჩევნებში, ამით ხუნტა დაიკანონებს თავს! საქართველოს უთუოდ დასჭირდება კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობა... ახლა უკვე შეუვალ ანდერძად ჩანს ზვიად გამსახურდიას გამოსვლის ტექსტი.

პუტჩის პირველივე დღიდან ხუნტა ცდილობს, თავი დაიკანონოს: ჯერ უზენაესი საბჭოს შეკრებას შეეცადა, შემდეგ აფხაზეთში ომი დაიწყო, რათა ამ ომის ფონზე შექმნილ ფსიქოლოგიურ ველში როგორმე არჩევნები ჩაეტარებინა: ვითომ აფხაზეთის მხსნელი ანუ „ომის" არჩევნები. ეს ფსევდოარჩევნები ფაქტობრივად ჩაიშალა; თუმცა, ფსიქოლოგიური ტერორის პირობებში ვითომ არჩეული უკანონო ორგანო მაინც დაკომპლექტდა საკომპენსაციო სიებით; ხალხი მოძალადე ხელისუფლების წინააღმდეგი იყო, მაგრამ ვინ უსმენდა?! ისვრიტებოდა მიტინგები, ილინებოდნენ გენშერის ძალლები, ამძვინვარდა ანტიქართული რეაქცია; ციხეები გაიჭო პატრიოტებით - პოლიტპატიმრებით...

პარალელურად, პუტჩისტები ცდილობდნენ მოვნიდან დაეშალათ საქართველოს ჰელსინკის კავშირის მიერ შექმნილი პოლიტიკური ბლოკი „მრგვალი მაგიდა", რომელიც უკანონო არჩევნების წინააღმდეგ აქტიურად ილაშქრებდა - ამ მხრივ იმხანად განსაკუთრებით აქტიურობდა თენგიზ კიკაჩეიშვილი...

ამასობაში აფხაზეთში სულიერება თითქმის იწრიტება: „აფხაზეთს სამუდამოდ დავკარგავთ, თუკი საქართველოში არ ჩამოხვალთ" - მიმართავენ ზვიად გამსახურდიას; „მთელი ჯარი გაერთიანდება, თუკი ჩამოხვალთ" - ჰპირდებიან სამხედროები, არადა რუსეთის რეგულარულ ჯარს, რომელიც აფხაზეთში გვებრძვის, ქართული მოხალისე არმია როგორ მოერევა. „ჩემი ჩასვლით ვერ უშველის რამე საქართველოს; ხალხი და პოლიტიკური პარტიები ვერ გაერთიანდნენ; იქნებ საქართველო ახლა მაინც გაერთიანდეს" - ფიქრობს პრეზიდენტი.

რისკი!

სიცოცხლის ფასად დაჯდა ეს საქართველოო რისკი; დისიდენტ პრეზიდენტს კიდევ ერთხელ უღალატეს საქართველოს მოღალატეებმა; მიატოვეს რუსეთის ჯარის პირისპირ, თვითონ ჩრდილოეთის ქვეყანაში თბილად დაიმალნენ და ცდილობენ, სამოქალაქო ომად მონათლონ რუსეთის აგრესია...

„მრგვალი მაგიდაც" ნელ-ნელა იშლება: თ. კიკაჩეიშვილს უკვე უკანონო არჩევნებისაკენ მიჰყავს კანონიერი ხელისუფლების მომხრეები; საბედნიეროდ, ხალხი არ მიჰყვება! საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ოქონოგების ფონზე უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა ერთი ნაწილი ხუნტასთან შეუთანხმებლად გაუმართლებელ მოლაპარაკებას აწარმოებს უკანონო ფაქტობრივი ხელისუფლების ლიდერებთან თბილისსა და ბათუმში... ამასობაში მყარად დამკვიდრდა უკანონობა, გაიყიდა საქართველოს განაპირა კუთხეები; დამნაშავეებმა მიიტაცეს სახელმწიფო ქონება; ქვეყანაში გლობალურმა კრიზისმა დაისადგურა: უკანონობა, უსინათლობა, სიცივე... აღარ ჩანს პოლიტიკური ძალა: 1997 წელს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კრიზისმა პიკს მიაღწია!

ამ დროს ასპარეზზე აქტიურად ჩნდება ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თანამებრძოლი მანანა არჩვაძე-გამსახურდია, რომელიც საქართველოში დაბრუნდა იძულებითი ემიგრაციის შემდეგ. უნდა გადარჩეს „მრგვალი მაგიდა"; უზენაესმა საბჭომ თვითლიკვიდაცია არ უნდა გამოაცხადოს; უკანონო არჩევნებისადმი ბოიკოტი უნდა გაგრძელდეს; უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრეობის გარეშე საქართველოს კეთილდღეობისათვის ბრძოლა მეტად გართულდება; უნდა აღვადგინოთ კანონიერი ხელისუფლება: საყოველთაო არჩევნებით - დემოკრატიული გზით უნდა გაგრძელდეს უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრეობა... 1997 წელს ამგვარი სტრატეგიით იწყებს პოლიტიკური ცხოვრების ახალ ეტაპს საქართველოს ჰელსინკის კავშირი, რომლის თავმჯდომარეც ხდება დისიდენტისა და პირველი პრეზიდენტის უპირველესი თანამებრძოლი...

„მრგვალი მაგიდის" გააქტიურების შემდეგ დღის წესრიგში დადგა საქართველოს რესპუბლიკის დევნილი უზენაესი საბჭოს ამოქმედების საკითხი საქართველოს ტერიტორიაზე (რომელსაც 1993 წლის შემდეგ სხდომა არ ჩაეტარებინა).

1998 წლის 14 ნოემბერს სამშობლოში მყოფი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები შეიკრიბნენ და ემიგრაციაში მყოფი პრეზიდიუმის წევრთა ნაცვლად ახალი წევრები და დროებითი თავმჯდომარე აირჩიეს; ამ შეკრებით მათ ქვეყნის დევნილი კანონიერი ხელისუფლების დაბრუნება ამცნეს ხალხს.

1999 წელს „მრგვალი მაგიდის" სპიკერის მანანა არჩვაძე-გამსახურდიას ხელმოწერით გამოქვეყნდა „მემორანდუმი", რომლის ტექსტსაც აქვე ვაქვეყნებთ:

**საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის მემორანდუმი**

რუსეთის იმპერიისა და ადგილობრივ კრიმინალთა მიერ ორგანიზებული 1991-93 წლების პუტჩის შედეგად საქართველოში დღემდე ფაქტიური ორხელისუფლებიანობაა. პარალელურად არსებობს კანონიერად არჩეული დევნილი უზენაესი საბჭო (რომელსაც რეალური ძალაუფლება არა აქვს) და საპარლამენტოდ წოდებული უკანონო ფაქტობრივი ხელისუფლება. ამ ვითარების პირდაპირი შედეგია საქართველოში გაბატონებული უკანონობა და ძალადობა, კორუფცია და [illegible] რეგიონული კლანთა ურჩობა და აგრესიული მეზობლების თავდასხმები.

დე-ფაქტო ხელისუფლებამ დღემდე არცერთი ნაბიჯი არ გადადგა საქართველოში კრიზისა და წესრიგის [illegible] სტაბილიზაციისათვის. [illegible] ხალხი [illegible] შედეგების უკანონო არჩევნების შედეგებისა და არსებული ვითარების [illegible].

შექმნილი ვითარება [illegible] გამოსავალი არსებობს. საქართველოს [illegible] საქართველოს [illegible] პოლიტიკური [illegible] ნება, რომელიც უნდა გამოვლინდეს:

ა) საქართველოში არსებული [illegible] ობიექტურად შეფასებით; ბ) არსებული პრობლემების გადაწყვეტით [illegible] არჩევნებით; გ) 2000 წლის მარტამდე დე-იურე დევნილი და დე-ფაქტო ხელისუფლებათა მიერ საპარლამენტო და საყოველთაო არჩევნების წინასწარობების მომზადებით.

[illegible] რა საქართველოში სამოქალაქო მშვიდობის შენარჩუნების როლს, [illegible], „მრგვალი მაგიდა" აცხადებს:

1. [illegible] პოლიტიკური, ეკონომიკური და [illegible] კრიზისიდან საქართველოს გამოსაყვანად „მრგვალი მაგიდა" [illegible] [illegible] ყველა იმ პოლიტიკურ ძალასთან (მათ შორის ფაქტობრივი ხელისუფლების წარმომადგენელ პარტიებთანაც), ვინც [illegible] ხელისუფლების [illegible];

2. საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა ორგანიზაციათა „მრგვალი მაგიდა" ითანამშრომლებს ყველა იმ პოლიტიკურ ერთეულთან, რომელიც აღიარებს საქართველოს დევნილი კანონიერი ხელისუფლებისა და დე-ფაქტო ხელისუფლების პარალელურად არსებობას; დაგმობს ხელისუფლების ცვლას პუტჩის, ტერაქტებისა და ცრუ არჩევნების გზით; მხარს დაუჭერს ლეგიტიმური ხელისუფლების დევნილი უზენაესი საბჭოს - საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე საყოველთაო არჩევნების ჩატარებას;

3. „მრგვალ მაგიდაში" ახალ წევრებად მიიღებიან ის პიროვნებები და პოლიტიკური ერთეულები, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ 1991-92 წლების პუტჩში, რომლებიც აღიარებენ „მრგვალი მაგიდის" წესდებას და რომლებიც აქტიურად დაუჭერენ მხარს დევნილი უზენაესი საბჭოს საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე ვადამდელი არჩევნების დანიშვნა-ჩატარებას.

**მანანა არჩვაძე-გამსახურდია**
საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის სპიკერი

ხაზგასმით კიდევ ერთხელ გავიმეორებთ:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრეობის აღდგენა ერთადერთი იურიდიული გზაა, რომელიც ჩვენს ქვეყანას გამოიყვანს პოლიტიკური, ეკონომიკური და, რაც მთავარია, ფსიქოლოგიურ-ზნეობრივი ჩიხიდან, ჩიხიდან, რომელშიც საქართველო შეიყვანა რუსეთის მიერ ორგანიზებულმა პუტჩმა.

ამჟამად, მეორე ათასწლეულის მიწურულს, დასავლეთ ევროპაც და ამერიკაც უფრო მეტად არიან დაინტერესებული ამიერკავკასიით, კავკასიის ნავთობითაც; აღმოსავლეთის ქვეყნებიც აღარ ეპუებიან რუსეთს; რუსეთიც მიაგნო ეგებ გონს: ნუთუ არ ურჩევნია, საქართველო ნეიტრალური ქვეყანა იყოს, ვიდრე ნატოს პლაცდარმი?...

პუბლიცისტურ ტექსტში ამგვარი სახით ჩანს ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გარეხამგვარი ამგვარი ათვლის სისტემიდან იქნება დანახულ-წარმოდგენილი... გაზეთს კი „ქუჯი" ჰქვია.

ქუჯი ეგრისის - დასავლეთ საქართველოს მეფე იყო 23 საუკუნის წინ. აღმოსავლეთ საქართველო იმხანად ფარნავაზის სამეკვიდროს წარმოადგენდა... მაშინაც დაშლილ-დამარცხებული იყო ჩვენი სამშობლო.

ერთიანი საქართველოს - დიდი კოლხეთის აღდგენა სურდა ქუჯის, დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოების (!) გაერთიანება შესთავაზა ფარნავაზს; ოღონდ გავერთიანდეთ და შენ იყავი მეფე. ფარნავაზი დაეთანხმა! დათანხმებაც დიდი სიბრძნეა! ამგვარ სიბრძნეს ვერ გამოიჩენს ერეკლე - პატარა კახი - ქუჯიდან 20 საუკუნის შემდეგ: ერეკლე მეორემ საქართველოს გაერთიანებაზე უარი უთხრა სოლომონ მეფეს...

მაშასადამე, ჩვენი შეძერწა ქუჯის ქართველობა, ფარნავაზის სიბრძნე, ცოტნეს თავგანწირვა და თამარის ღირსეული სახელმწიფოებრივი ხედვა, ამავე დროს, ჩვენ გვსურს, საქართველო ორიენტირებული იყოს თანამედროვე ევროპული სახელმწიფოების შიგა დემოკრატიაზე; იაპონიის (და ბევრი სხვა ქვეყნების) მსგავსად იამაყოს საკუთარი ტრადიციული კულტურით და, რაც მთავარია, ქართველური კულტურულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება, როგორც კავკასიის სულიერების ბურჯი, მყარად იდგეს მსოფლიო მდინარებათა ნაკადებში...

პატივცემულო მკითხველო!

„ქუჯი" ჩვენი გაზეთია, ჩვენი სახელმწიფო ხომ ერთია! ჩვენ ხომ ჩვენი ერის ერთი თაობა ვართ; სიმართლით შეუბღალავ თვალებში ერთმანეთს და ერთად გადავრჩებით... ამჟამად ჩვენ, ყველანი, ერთად დავუბრუნებით ბიბლიური უდაბნოს მსგავს სულიერ ტრამალზე და აღთქმული ქვეყნისკენ მივყავართ „მოსეს" - ჩვენი დიდი წინაპრების ერთიან სულიერებას, სულიერებას, რომელსაც უკანასკნელად ზვიად გამსახურდია ატარებდა...

„ქუჯი" ჩვენი გაზეთია, მკითხველო!

**ტარიელ ფუტკარაძე**
2000 წელი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო
SUPREME COUNCIL OF THE REPUBLIC OF GEORGIA
საქართველოს პოლიტიკური პარტიების და ორგანიზაციების მრგვალი მაგიდა
THE ROUND TABLE OF THE GEORGIAN POLITICAL PARTIES AND ORGANIZATIONS
თბილისი, გალის ქ. №19 ტელ: 22 15 87
Tbilisi, Gali st. №19 Tel: 22 15 87
თბილისი, ვახტანგ ჭაბუკიანის ქ. №23 ტელ: 391099, 221587. ფაქსი 391099
Tbilisi, Georgia, Vakhtang Chabukiani st. №23 Tel: 391099, 221587. Fax: 391099

## საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის ყველა წევრს

„ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების".

გიორგი მერჩულე

ქრისტესმიერო დანო და ძმანო, მოგმართავთ ყველას, ერსა და სამღვდელოებას, მათ, ვინც ერთი წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის ღვიძლი შვილები ვართ. მოგმართავთ უპირველესად ქრისტესმიერი სიყვარულით.

საკმაო ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში 1991-93 წლების სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. დღევანდელი გაუსაძლისი სულიერი და მატერიალური მდგომარეობა, რომელიც ღმრთისმშობლის წილხვედრ ჩვენს სათაყვანებელ სამშობლოს დაატყდა თავს, პირდაპირი შედეგია ზემოთდასახელებული მიზეზისა. ანტიქრისტეს მსახურნი, რომელნიც დღეს უკანონო მთავრობის სახით მპყრობლობენ ჩვენს ქვეყანას, გეგმაზომიერად ანადგურებენ მას როგორც მატერიალურად, ასევე სულიერად. სულიერ პლანში მათ მთავარ სამიზნეს წარმოადგენს ჩვენი დედა-ეკლესია. ტყუილად როდი ჩამოდიან საქართველოში სხვადასხვა მაღალჩინოსანი ერეტიკოსნი, ვრცელდება ათასი ჯურისა და მიმდევრობის სულისწამღისმგმობელი სექტები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით უხვად ილვრება ათასგვარი სიბილწე და სისაძაგლე, არცთუ იშვიათად ხდება, უკვე მათ მიერ, ჩვენი ეკლესიისა და სამღვდელოების ლანძღვა-გინება.

საქართველოს, თავისი ისტორიის მანძილზე, ყოველთვის ჰყავდა მებრძოლი ეკლესია. ჩვენი ეკლესია იბრძოდა არა მარტო ჩვენი სულებისათვის, არამედ იბრძოდა ჩვენთვის ფიზიკურადაც. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ბრძოლის ველზე, მხედრობასთან ერთად, მღვდელმთავრებსაც კი გაუწირავთ თავი.

ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ისე, როგორც ჩვენს სამშობლოს დღეს უჭირს, არ გასჭირვებია არასდროს. ამის ერთ-ერთი მიზეზთაგანი, ჩვენი ხედვით, არის ის, რომ ეკლესიის მსახურნი ჯეროვნად არ იბრძვიან თავისი სამწყსოსათვის ბოროტების წინააღმდეგ.

## ინფორმაცია კოლხური კოშკიდან

ტაძარში ყოფნისას ხშირად მოგვისმენია ქადაგებისას სამღვდელო დასთაგან ის, რომ დღეს რაც ერში ხდება, პოლიტიკის სფეროს განეკუთვნება და მრევლს არ ურჩევენ ამ პროცესებში აქტიურ ჩარევას.

ყველას გვახსოვს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სიტყვები წარმოთქმული 1992 წელს: „ედუარდ-გიორგი შევარდნაძე ჩადგება ერის სამსახურში". საინტერესოა, განვლილი წლების გადასახედიდან ედუარდ-გიორგის „მსახურებაზე" რას ფიქრობს ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობელი.

ბოროტებისადმი დაუმორჩილებლობა ქრისტიანული ეთიკისა და პრაქსისის საფუძველთა საფუძველია. რა იყო პირველქრისტიანთა ცხოვრება, თუ არა ულმერთობისა და უზნეობისადმი დაუმორჩილებლობა. ქრისტიანობამ გაიმარჯვა ამ ბრძოლაში, რამეთუ წერილ არს: „საჭურველად გარე მოგადგეს შენ ჭეშმარიტებაი მისი", ხოლო დევნულობა სიმართლისათვის, როგორც ამას საღმრთო რჯული გვასწავლის, ნეტარებაა. ის, ვინც არ იბრძვის სიმართლისათვის და არ არის დევნილი, არც ქრისტიანად შეიძლება იწოდოს. ყოველი დროის ტირანები ცდილობენ გაყალბებას მოციქულთა სიბრძნისას ხელისუფლებისადმი მორჩილების შესახებ, მაგრამ მოციქულთათვის სიტყვა ხელისუფლება ნიშნავს ლეგიტიმურ, კანონიერ ხელისუფლებას და არა უკანონო, ყაჩაღურ, უზურპატორულ ხელისუფლებას, რომელიც ეშმაკისაგან არის და არა უფლისაგან.

ჭეშმარიტების სამსახური მარტო მის აღიარებაში როდი გამოიხატება. ეს სამსახური, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს სიცრუისა და ბოროტების მხილებას. უფალი ჩვენი იესო მართლმხილების გამო აცვეს ჯვარს, მართლმხილების ძალამ, ღმრთის ძალამ აღადგინა იგი მკვდრეთით, დაათრგუნინა სიკვდილი და ბოროტება და აღამაღლა ზეცით.

ქრისტესმიერო დანო და ძმანო, დასასრულ გვინდა მოგმართოთ წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვებით: „ქრისტესა ჩვენცა ვჰბაძვიდეთ, რამეთუ უკუეთუ მას არა ვჰბაძვიდეთ, უმჯობეს იყო არათუმცა შობილ ვიყვენით".

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დროებითი თავმჯდომარე დავით გოგაძე

საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის ხაიკერი მანანა არჩვაძე-გამსახურდია

ქ. თბილისი, 2000 წელი, გიორგობისთვის 3

## საქართველოს სხვა ახალი ამბები

### ამ მთავრობას სჭირდება დასახოქებელი საბაბი!

ნოემბრის ბოლოსა და დეკემბრის დასაწყისში თბილისში ელექტროენერგიის მიწოდების მოუგვარებლობისადმი მოსახლეობის დამოკიდებულება ერთგვარად შეიცვალა: თუ აქამდე უშუქობის გამო ქალაქის ე.წ. პერიფერიების მოსახლეობა ჩიოდა და ალაგ-ალაგ საპროტესტო აქციებითაც ცდილობდა (თუმცა ამაოდ) გასმე ყურადღების მიქცევას, ახლა უეცრად დაიძრა ელიტარული ვერაგაკე.

ტელევიზია ფართოდ აშუქებდა ვაკის საპროტესტო აქციას. ჭავჭავაძის პროსპექტის ორი ღამით გადაკეტვამ ხელისუფლებისა და მასმედიის მხრიდან გაცილებით მეტი ყურადღება მიიპყრო, ვიდრე სხვადასხვა დროს ამავე თუ სხვა მიზეზებით აეროპორტის გზის, საბურთალოს, სხვადასხვა მნიშვნელოვანი ობიექტისა თუ მაგისტრალის გადაღობვამ; აქციის მონაწილეებთან მიდიოდნენ ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლები, მათ შორის, პარლამენტის თავმჯდომარე, ძალოვანთა წარმომადგენლები და სხვ. რეკლამაც სათანადო გაკეთდა: ტელევიზიის სხვადასხვა არხი, მომეტებულად კი „რუსთავი", ყველას უხმობდა ვაკისაკენ, სადაც მალე გრანდიოზული შოუ უნდა გამართულიყო.

განსაკუთრებულად, როგორც ჩანს, ახალგაზრდებს იწვევდნენ, რადგან შოუში მეტნაკლებად პოპულარული ახალგაზრდული ანსამბლების მონაწილეობას გეგმავდნენ. კიდევ ერთი ფაქტორი, რომლითაც, ალბათ, ორგანიზატორების გარაუდით, სწორედ ახალგაზრდები უნდა დაინტერესებულიყვნენ, ე.წ. ლიდერები გახლდათ: კოტე ყუბანეიშვილი (მეტსახელად „პოეტი") და დათო ტურაშვილი (მარადიული „ახალგაზრდა პატრიოტ-დემოკრატი"). ხალხი უტყუარი მსჯულია. მას ალღო არასოდეს ღალატობს. ალბათ, ამით აიხსნება, რომ აქციას არ შეუერთდა მოსახლეობა. ტელევიზიის „სოციალურ-პოლიტიკური ანალიზების" მიუხედავად, იმთავითვე გავრცელდა აზრი, რომ ეს იყო სპექტაკლი, ხელისუფლების მიერ დადგმული და გარკვეული პოლიტიკური შედეგის მისაღებად გამიზნული. ღონისძიება ორ დღეს გაგრძელდა და... ჩაიფუშა. ამაოდ ელოდნენ რეჟისორები ხალხმრავლობის იმიტირების შესაძლებლობას. ხალხი არ მივიდა. აღმოჩნდა, რომ ეროვნული ნიჰილიზმის დასამკვიდრებლად ჩატარებულმა მრავალმა ღონისძიებამ გულუბრყვილოებში გადაადგილების ნებისმიერი ენთუზიაზმი ჩაკლა; ხოლო გონიერი ადამიანი ისედაც უნდობლად ეკიდება ამგვარ სპექტაკლებს. ცხადია, ხალხი, რომელსაც წაართვეს თავისუფლება, საკუთარი ხელისუფლება, ტერიტორიები, ცხოვრების ელემენტარული პირობები და საკუთარ სახელმწიფოში შრომის უფლებაც კი, ელექტროენერგიის ორსაათიანი გრაფიკისათვის არ მიაკითხავდა მას, ვინც ეს ყველაფერი წაართვა. მით უფრო, რომ სრულიად არაორაზროვნად ჟღერდა აქციის ერთ-ერთი ლიდერის კოტე ყუბანეიშვილის ლოზუნგი: „ვისაც გინდა დაუჩოქონ, ვისაც გინდა შეეხვეწონ, ოღონდ შუქი მოგვცენ, რათა წვერი გავიპარსოთ." აქციაზე არ მივიდა არა მხოლოდ ქართველი ხალხი, არამედ ის ნაწილიც, რომელიც ჩვეულებრივ სტატისტის როლში გამოჰყავდათ მთელ რიგ „დემოკრატიულ" ღონისძიებებში (უნივერსიტეტის საფეხურთა პუტჩი, ტელევიზიის კიბეების სცენა, „გაერობის" ზეიმი, ისტორიული „დაჩოქება პარლამენტთან და სხვ.) მათი რიგები შემცირდა, ზოგს უკვე ასაკი წამოეწია და ხანგრძლივად ფეხზე დგომა უჭირს, ზოგს ხსენებულ სცენებში მონაწილეობისათვის სამრჯელოთი „დვიჟოკები" აქვს ნაყიდი და შუქის პრობლემა არ აღელვებს, ზოგი უცხოეთში გადავიდა საცხოვრებლად, ზოგი კი, ცოტა არ იყოს, განიხიბლა დღევანდელ ხელისუფლებასთან დაკავშირებით.

ამასობაში კი მოსკოვში ბელორუსიის პრეზიდენტმა ლუკაშენკომ უკვე მოაწერა ხელი ქვეშევრდომობას, ახლა საქართველოს ელიან. მთავრობას სჭირდება დასახოქებელი საბაბი, რათა თქვას, ხალხმა მოხოვა და უარი ვერ ვუთხარით.

გონიერი და მრავალჭირგამოვლილი ქართველი ტრადიციული სიბრძნით მიხვდა, რომ იმის ნდობა არ შეიძლება, ვინც დღეს (უმიწაწყლოდ, უიმედოდ, უფულოდ, უსამართლოდ...დარჩენილ ქვეყანაში) ასეთ ფრაზებს გაიძახის: „ჩვენ პოლიტიკასთან საქმე არა გვაქვს, ოღონდ შუქი გვინდა", „ჩვენ მთავრობას არაფერს ვედავებით, მხოლოდ სინათლე გვაინტერესებს", „ყველაფრით კმაყოფილი ვართ, შუქის არქონის გარდა". ალღო ახლაც იმას გვკარნახებს, რომ კვლავ მოტყუებას გვიპირებენ. თუ მოთხოვნაა, ის უნდა მოვითხოვოთ, რაც მართლა მოსათხოვია. XXI საუკუნის დასაწყისში რამდენიმე საათიან გრაფიკზე ოცნება ზღვისა და ურიცხვი მდინარის ენერგიის პატრონი, ევრაზიის საზღვარზე (ანუ ცივილიზებული მსოფლიოს ცენტრში) მდებარე უძველესი ისტორიის მქონე ქვეყნისათვის, რბილად რომ ვთქვათ, სირცხვილია. რადგან მხოლოდ თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანა ცხოვრობს სრულფასოვანი ცხოვრებით.

დამკვირვებელი

### სინათლე... პირადი სიმპათიით

მინსკის „შეხვედრის" შემდეგ რუსეთის კომუნისტური პარტიის ლიდერმა ჩუბაისმა ფრიად ორიგინალური რამ განაცხადა. კერძოდ, იგი დიდად აფასებს ე. შევარდნაძეს, რის გამოც საქართველოს ენერგორესურსების მიწოდებას განუახლებს.

თურმე მცირეოდენი პატივისცემაც საკმარისი ყოფილა სახელმწიფოთა შორის არსებული „დიდი პრობლემების" გადასაჭრელად.

არადა კითხვა - კითხვაზე იბადება: ჰქონდა თუ არა ენერგორესურსების შეწყვეტისას ჩუბაისს ეს გრძნობა შევარდნაძისადმი, და თუ არა, რა სიძლიერით იფეთქა მასში ამ უკანასკნელმა ახლა, რომ საგმირო საქმეების ჩადენა გადააწყვეტინა.

ისე კი ფრიად უცნაური ხალხი ვართ ქართველები, რომც უნდოდეთ, სინამდვილეს ვერავინ დაგვიფარავს. ავი ენები ამბობენ, თითქოს ჩვენი ქვეყნის ფაქტობრივ ხელისუფლებას განგებ შეექმნას ენერგოკრიზისი, რათა ამ ფონზე გაამართლოს საქართველოს შესვლა ესენგეს „უკეთეს" კავშირში, მაგრამ ეს ისე-ყურმოკრულად; სინამდვილეში კი ჩვენ სწრაფი ნაბიჯით მივიწევთ წინ... დიადი მწვერვალებისაკენ.

### შუქს მინუს ვიზები უდრის რუსის ჯარს საქართველოში

საქართველოს ფაქტობრივ ხელისუფლებაში არსებული განხეთქილება თანდათან საეჭვოდ იზრდება. ერთნი რუსეთისაკენ მიიწევენ, მცირე დანარჩენს კი ამერიკა-ევროპის გზისკენ უჭირავს იმედიანად მომზირალი თვალი. რუსეთთან თუ დავრჩებით, შუქი გვექნება - ენერგიულად ამტკიცებენ მირცხულავა-ლეკიშვილები, ამერიკა და ევროპა გვაძლევს პურს - აცხადებენ საიკაშვილ-ჟვანია-კლიმიაშვილები.

არადა, საქართველოში შექმნილ სიტუაციას ნამდვილად ვერ უწოდებ სტაბილურს. პანკისის ხეობაში ატეხილი აჟიოტაჟი მოხვეწნებას უკარგავს ზოგიერთ პოლიტიკოსს და ქართულ ჯართან ერთად იქ რუსის ჯარის შეყვანის სურვილით იწვის, სანაცვლოდ, არც თუ ისე ცუდი გარიგება მიიღება, რომელსაც „ვიზების გარეშე რუსეთში მგზავრობა" ჰქვია სახელად.

ხელოვნურად შექმნილი კრიზისების ფონზე, პანკისის ხეობაში მომხდარი ყაჩაღობაც აშკარად მოწყობილი ჩანს, მით უმეტეს, უკანონო ხელისუფლებას საამისო მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, ამ მხრივ არ გვაწყენდა 1921 წელს ბორჩალოს მაზრაში მოწყობილი პროვოკაციის გახსენება, სწორედ, აქედან მოხდა საქართველოში ვითომც აჯანყებულთა დასახმარებლად რუსეთის ჯარის შემოსვლა.

დღეს კი საქართველოში რუსეთის ჯარის შემოყვანის სანაცვლოდ, შეიძლება შუქი და ვიზების გარეშე რუსეთში მგზავრობის საშუალება მოგვცეს. ღირს კი?!

ასე რომ, ფრთხილად ქართველებო!

## ცნობები დანარჩენი მსოფლიოდან

### დრონი მეფობენ

ომის შემდგომი პერიოდის შემდეგ გერმანიაში პირველად სთავაზობენ რაბინებად მომზადების კურსებს.

ასეთი კურსები უკვე ოფიციალურად გაიხსნა და ისინი პოსტდამში (Deutsche welle) მდებარეობს.

მართალაც, უცნაურია ეს ცხოვრება, ომის დროს რაბინების ხსენებაც კი საბედისწერო შეიძლებოდა აღმოჩენილიყო, ახლა კი...

მართლაც, დრონი მეფობენ...

### გერმანიამ საზღვრები უნდა გააფართოვოს

კომპიუტერის იმ ქვეყნის სპეციალისტებს, რომლებიც არ შედიან ევროკავშირში, გერმანიაში სამუშაოს მოძებნისა და ცხოვრების ნება დართეს, ყოველივე ამან კი იმ ადამიანთა რიცხვის ზრდა გამოიწვია, რომელთაც სურვილი აღეძრათ პროგრამისტის პროფესია თვითონ გერმანიაში მიეღოთ.

ასე თუ გაგრძელდა, ცოტა ხანში გერმანიის საზღვრების გაფართოვებაც კი მოუწევს.

### როგორც იქნა შეთანხმდნენ

ორშაბათს ევროკავშირის ისტორიაში პირველად მოხერხდა სამიტზე შეთანხმების მიღწევა ევროკავშირის მინისტრთა საბჭოებში ხმების ახალი გადანაწილების შესახებ. დებატები 18 საათს გრძელდებოდა. საქმეს ართულებდა ბელგიის წინააღმდეგობა, რომელიც არ ეთანხმებოდა ჰოლანდიას ერთი ხმით ნაკლებით მიელო.

თავდაპირველად უკმაყოფილონი იყვნენ პორტუგალიის, ჰოლანდიისა და ბელგიის წარმომადგენლები, რომლებსაც, ევროსაბჭოში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გაწევრიანების შედეგად, ეშინოდათ იქ გავლენის დაკარგვა; ფრანგებისგან მოწოდებულმა ახალმა გეგმამ მხოლოდ პირველი ორი დაამშვიდა.

მიზეზი, რომლითაც ჰოლანდიას ბელგიაზე 1 ხმით მეტი ერგო, არგუმენტირებულია ჰოლანდიის მოსახლეობის სიჭარბით ამ უკანასკნელზე, მაგრამ ბელგიის პრემიერის გი ვერჰოფსტადტის თქმით „საფრანგეთს გერმანიაზე 40 პროცენტით ნაკლები მოსახლეობა ჰყავს, მაგრამ ორივენი ხმების თანაბარ რაოდენობას ფლობენ".

### გავლენიანი ადამიანები

ევროპაში ყველაზე გავლენიან ადამიანთა შორის (სია შეადგინა ინგლისურმა ჟურნალმა The Observer-მა), რუსეთის პრეზიდენტი ვ. პუტინი მეთოთხმეტე ადგილზეა. პირველ სამეულში არიან აშშ-ს ფედერალური სარეზერვო Microsoft-ის დირექტორი ბილ გეითსი და მეთოთხმეტე ვლადიმერ პუტინი (ჟურნალის აზრით: „ეს ადგილი განპირობებულია მის განკარგულებაში მყოფი მრავალრიცხოვანი ჯარითა და, შესაბამისად, გავლენა აქვს საერთაშორისო პოლიტიკაზე").

შემდგომ მოდიან: ფინანსისტი ჯ. სოროსი, ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი ვ. დიუზენბერგი), გაეროს გენერალური მდივანი კ. ანანი, აშშ-ს სახელმწიფო მდივანი მ. ოლბრაიტი) ევროკავშირის ვაჭრობის კომისიის თავმჯდომარე პ. ლამი და პაპი იოანე - პავლე II.

იემენში აფეთქებულმა ნაღმოსანმა გემმა cole-მ ცურვით მიაღწია ამერიკამდე

ამერიკული ნაღმოსანი „Cole" შაბათს აშშ-ის სანაპირომდე იქნა მიყვანილი. გემი იმ ნავსადგურში დარბუნდა რასაც ააშენეს, მისი შეკეთება კი 2001 წლის იანვარში დაიწყება.

ნაღმოსანი გემი Cole იემენის დედაქალაქში იქნა აფეთქებული იმ დროს, როდესაც იგი გასამართად ნავსადგურში გაჩერდა. აქ მას რეზინის გასაბერი ნავი მიუახლოვდა ნაღმოსანს შეეჯახა და ააფეთქა, რის შედეგაც ეკიპაჟის 17 წევრი დაიღუპა.

გამოირკვა, რომ აფეთქება ავღანეთის ომში მონაწილე ვეტერანის მიერ იყო მოწყობილი.

### ბუშმა გაიმარჯვა, გორმაც...

როგორც იქნა, ცნობილი გახდა აშშ-ში მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები. ბუშმა გაიმარჯვა, რაც შეეხება ალბერტ გორს, ის თამაშგარეთ აღმოჩნდა. „ჩვენი ქვეყნის სიყვარული უფრო დიდი უნდა იყოს ჩვენს სურვილზე" - ფრიად შთამბეჭდავი სიტყვებით მიმართა მან მომხრეებს და მოუწოდა გაერთიანებულიყვნენ ამერიკის პრეზიდენტის გარშემო...ისინი თვლიან, რომ, ამერიკამ გაიმარჯვა.

მომზადებულია ინტერნეტის მასალების მიხედვით

## მრუდე სარკე და სინამდვილე

**მრუდე სარკეში:**

*ბოლოდროინდელ თურქულ პრესაში გამოქვეყნდა ვინმე დ. ბიდსულეიმანის ანტიქართული წერილი, რომელშიც იგი აჭარას საქართველოსაგან მოწყვეტით განიხილავს.*

*მასში, აგრეთვე, აღნიშნულია, რომ აჭარას სამოქალაქო ომი არ შეხებია, თბილისსა და ბათუმს შორის კი არსებითი კონფრონტაცია არსებობს.*

**სინამდვილე:**

საქართველოში სამოქალაქო ომი არ ყოფილა. რუსეთმა 1991-93 წლებში დაიპყრო ჩვენი ქვეყნის ის ნაწილები, სადაც კანონიერმა ხელისუფლებამ და მისმა მომხრეებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. ბათუმში კი, აბაშიძის რეჟიმის წყალობით, მათ დაბრკოლება არ შეხვედრიათ.

**მრუდე სარკეში:**

*ევროთწოდებულ თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა მეთაურების მინსკში შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე (1.12.00) საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ საქართველოში იყო სამოქალაქო ომი (იგულისხმება პუტჩის პერიოდი).*

**სინამდვილე:**

1991-93 წლებში რუსეთი ებრძოდა დამოუკიდებლობაგამოცხადებულ საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას: ეს იყო არა სამოქალაქო ომი, არამედ იმპერიის აგრესია დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც დღემდე გრძელდება.

**მრუდე სარკეში:**

2000 წლის 11 დეკემბრიდან ფსოუზე, ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის საზღვარზე შემოღებულ იქნა უვიზო მიმოსვლა. ეს ფაქტი საქართველოს ფაქტობრივმა ხელისუფლებამ რუსეთის აგრესიად ჩათვალა...

**სინამდვილე:**

*საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო რუსეთს აგრესორად აცხადებდა 1990 წლიდან ანუ ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდანვე. შესაბამისად, კანონიერი ხელისუფლების მხრიდან რუსეთს მინიჭებული აქვს საოკუპაციო ჯარის სტატუსი... სწორედ ამ ჯარის წყალობით ხელისუფლებიდან განდევნილ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი კანონიერი ხელისუფლება და მასზევე დაყრდნობით ხელისუფლებას ბოლომდე ინარჩუნებს ფაქტობრივი მთავრობა...*

*სავიზო რეჟიმის გამო გაკეთებული ზემოთაღნიშნული განცხადება მხოლოდ უმისამართო ჟესტია. უკანონო ხელისუფლებას თუ სიმართლის თქმა სურს, მოვლენების შეფასება 1991-93 წლების პუტჩით უნდა დაიწყოს, პუტჩით, რომლის ორგანიზატორებიც კრემლში ისხდნენ.*

**წინასწარი შენიშვნა:**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის ტარიელ ფუტკარაძის განცხადება გადაეცა გეა-ს და 17 ნოემბერს გაზეთ „რეზონანსში" გამოქვეყნდა. განცხადება დაიბეჭდა შემოკლებით და, რაც მთავარია, დამახინჯებით. ქვემოთ გთავაზობთ ორივე ვარიანტს:

**მრუდე სარკეში:**

*(გეა) საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი უზენაესი საბჭოს დეპუტატი ტარიელ ფუტკარაძე მიიჩნევს, რომ ფარნავაზის ძეგლის გვერდით უნდა დადგმულიყო ქუჯის ძეგლიც, რომელმაც ფარნავაზის სასარგებლოდ უარი თქვა სამეფო გვირგვინზე და რომელმაც, ფუტკარაძის თქმით, ფარნავაზთან ერთად 23 საუკუნის წინ კავკასიის საერთო პოლიტიკურ ველზე ორიენტირებული ქართული სახელმწიფო შექმნა. ფუტკარაძის განცხადებით, ილიასა და აკაკის ძეგლთა მსგავსად ლოგიკური იქნებოდა ქუჯისა და ფარნავაზის ქანდაკების ერთად დადგმა. „ქუჯის სახელის მიჩქმალვა არსებული ფაქტობრივი ხელისუფლების მწირი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების კიდევ ერთი გამოხატულებაა", - აღნიშნა ფუტკარაძემ.*

**სინამდვილე:**

ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში დიდმნიშვნელოვანი ფაქტია ლეონტი მროველის მიერ ქუჯისა და ფარნავაზის ერთობლივი ძალისხმევის წარმოჩინება: ამ ორმა დიდმა ქართველმა ჯერ კიდევ 23 საუკუნის წინ შექმნა კავკასიის საერთო პოლიტიკურ ველზე ორიენტირებული საქართველოს სახელმწიფო; ქუჯიმ უარი თქვა სამეფო გვირგვინზე ფარნავაზის სასარგებლოდ, რითაც საქართველოს უმტკივნეულო გაერთიანებას შეუწყო ხელი; სამწუხაროდ, მოგვიანებით, ბევრი სისხლი დაიღვარა ხელახლა დაქუცმაცებული ქვეყნის გასაერთიანებლად კუროპალატების, ბაგრატისა თუ დავით აღმაშენებლის დროს; ბოლოს კი, სულ სამი საუკუნის წინ, ერეკლე II-მ უარი თქვა ქუჯის სულიერი მემკვიდრის სოლომონის წინადადებაზე და საქართველო ასე გაყოფილად ჩააბარა რუსეთს...

მიმდინარე წელს, „თბილისობის" ბუტაფორიული ღონისძიებების დროს, გაიხსნა ფარნავაზის ძეგლი, არადა, უფრო ლოგიკური და სახელმწიფოებრივი მიდგომის გამოხატულება იქნებოდა, ილიასა და აკაკის ძეგლთა დარად, ერთად დადგმულიყო ქუჯისა და ფარნავაზის ქანდაკებანი. ქუჯის სახელის მიჩქმალვა არსებული ფაქტობრივი ხელისუფლების მწირი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი „ცნობიერების" კიდევ ერთი გამოხატულებაა.

# რატომ აძლევს ხელს ფაქტობრივ ხელისუფლებას ქუჩაში მოწყობილი პიკეტები ანუ მართულია თუ არა სიტუაცია

## ფრაგმენტები ჩვენი დღევანდელი ყოფიდან

სანამ უშუქობით გაყინული და გულშეღონებული მოსახლეობა ქუჩებში დანთებული ცეცხლის წინ გალღობასა და სულის მობრუნებას ცდილობს, მანამ სავარძელში მსხდომი „ჩინებულნი" საკუთარ გეგმებზე ფიქრობენ და ამა თუ იმ აქციის თავიანთი მიზნებისათვის გამოყენებას ცდილობენ; ზოგჯერ გაერთიანებული ძალით უტევენ მოსახლეობას, ზოგჯერ კი ერთმანეთს წაესევიან სულხანსაბას იგავის ძაღლებივით. ფაქტობრივი ხელისუფლების პარლამენტარი ჯ. გამახარია თუ ამავე ხელისუფლების შინაგან საქმეთა მინისტრს სახელმწიფო გადატრიალებასა თუ ძალაუფლების ხელში აღების განზრახვაში ადანაშაულებს, ჟვანია მოპიკეტეებთან მოლაპარაკებით ცდილობს იმიჯის ამაღლებას. მოსახლეობას არც ერთი აინტერესებს და არც მეორე; არსებული სიტუაციით განამებულნი უკვე აღარ დაგიდევენ იმაზე ფიქრს, ხელს აძლევს თუ არა ხელისუფლებას ხელოვნურად შექმნილი ენერგოკრიზისით გამოწვეული სკანდალი.



ერთ-ერთი პიკეტზე შევჩერდით:

- დენი არა გვაქვს, ერთი თვეა, არც წყალი მოსულა და მე-8, მე-9 სართულზე როგორი ასატანია ხელით?! - ჩივიან ქუთაისის ქუჩებში გამოსული მოპიკეტენი და მთელი ძალით, საქმითა თუ სიტყვით „უტევენ" ხელისუფლებას. მოკლედ, არც ე.წ. ხელისუფლება იშურებს ხალხისათვის უშუქობასა თუ უწყლობას და არც მოსახლეობა იშურებს მათი შესამკობი სიტყვების შერჩევისათვის დროს.

მდგომარეობა არც ისე ნათელია, როგორც საქმეში ჩაუხედავ კაცს მოეჩვენება ერთი შეხედვით. საქმე ისაა, რომ როდესაც მოსახლეობის გარკვეული ნაწილი აქციას აწყობს, იქვე „რჩეული ვაჟკაცებით" დაკომპლექტებული „ომონიც" მზად არის დასარბევად, მაგრამ ამ შემთხვევაში (ვგულისხმობთ, შუქის მოთხოვნასთან დაკავშირებით მოწყობილ პიკეტებს) ყველა კარგად ხედავს პოლიციისა და ფაქტობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა „ლოიალობასა" თუ „თანაგრძნობას", ის კი არა, ზოგიერთი მათგანი მომიტინგეებთან „საქმის მოგვარებაზე" ხარჯავს ძვირფასი დროის გარკვეულ ნაწილს; ყოველივე ეს საკმაო ეჭვს ბადებს საზოგადოებაში.

- დენი მათ მისცეს, ვისაც ფული აქვს. ჩვენი სინათლე იყიდება, გვპარავენ, ქურდები არიან და იმიტომ - აცხადებენ უშუქობით გამწარებული ქუთაისლები, მაგრამ აქვე ეჭვსაც გამოთქვამენ და მდგომარეობის ნამდვილ არსში გარკვევას ცდილობენ - მაგათ, ალბათ, აწყობთ არეულობა, რადგან მღვრიე წყალში თევზი იოლი დასაჭერია.

პოლიციის უფროსის ო. ზიბზიბაძის განცხადებით, რუსეთმა საქართველოს გაზისა და დენის მოწოდება შეუწყვიტა, თავს ზემოთ კი ძალა არ არის. რაც შეეხება თავად პოლიციას, იგი ხალხის მხარეს დგას მუდამ.

არსებულიდან გამომდინარე, დაკვირვებული თვალი აშკარად გაარჩევს ხელისუფლების სურვილს - ხალხმა მოითხოვოს: ოღონდ შუქი, წყალი და აუცილებელი სასიცოცხლო პირობები გვქონდეს და სანაცვლოდ თუნდაც ისევ რუსეთს დავუბრუნდეთო. ყოველივე ამას თავად ზემოთხსენებული ხელისუფლების წარმომადგენლებიც აღიარებენ. ფრაქცია „XXI საუკუნის" ერთ-ერთი წევრის განცხადებით, ხელისუფლებამ ეს გამოსვლები თავად გადააქცია სახალხო მოძრაობად, აქციების აპოლიტიკურობაზე ყურადღების გამახვილებით, მის პოლიტიკურობას გაუსვა ხაზი.

უშუქობით გაყინული და გულშეღონებული მოსახლეობა ქუჩებში დანთებული ცეცხლის წინ სულის მობრუნებას ცდილობს, სავარძელში მსხდომი „ჩინებულნი" საკუთარ გეგმებზე ფიქრობენ და ამა თუ იმ აქციის თავიანთი მიზნებისათვის გამოყენებას ცდილობენ.

მხედრიონელთა გათავისუფლება შეიძლება ახალი საფრთხისაკენ იყოს მიმართული, ვინაიდან საჭიროების შემთხვევაში შესაძლებლობა მიეცემათ ხალხს მიმართონ: თუ წინააღმდეგობას გაწევთ, მხედრიონი მოვა და ისევ დაიწყება 1992 წელი; მით უმეტეს, ფაქტობრივი ხელისუფლების ზოგიერთმა წარმომადგენელმა საუბარი დაიწყო კრიმინალების მიერ გამოსვლების ორგანიზატორობაზე და არა იმაზე, თუ როგორ შეესრულებინათ მოსახლეობის მოთხოვნა.

წყვდიადში მყოფი ხალხი ხელ-ხელა ხვდება, სად არის ყოველივე ამის სათავე:

- ეს არ არის ცხოვრება. ამ მთავრობამ ტყეში ხე არ დაგვიტოვა, საქართველოში - მიწა, ყველაფერი გაგვიყიდა, ყოველნაირად დაგვაქცია, ერის განადგურება უნდა. გააცანით ჟურნალისტებმა ჩვენი ასეთი ყოფა მსოფლიოს და დაანახეთ ქვეყანას დაფარული სიმართლე! - საბოლოოდ ასეთია მოპიკეტეთა მოთხოვნა.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ძლიერება და გამარჯვება ვუსურვოთ ქართველ ხალხს და სიამოვნებით ავუსრულოთ დანაპირები.

სოფიკო კაშმაძე

რეკლამა!

საქართველოსთვის მეორე ათასწლეული ქუთაისში ბაგრატის ტაძრის მშენებლობით დაიწყო, ხოლო სრულდება იმავე ქუთაისში სტალინის ძეგლის აღდგენით.

საქართველოს ჰელსინკის კავშირის ქუთაისის ორგანიზაცია ეროვნულსულო სოციალ-დემოკრატებს არა, მაგრამ სტალინის ქართველობის ღრმრწმენით შეპყრობილ ადამიანებს მოუწოდებს, რომ აღდგენა-აღორძინება ბაგრატის ტაძარს სჭირდება და არა ბაგრატის ტაძრის სულიერი მტრების მონუმენტებს!

## ჩვენი რწმენა

### წმიდა ბარბარე

წმიდა ბარბარე დღევანდელი პალესტინის ქალაქ ილიოპოლისში დაიბადა. მისი მამა, დიოსკორე, მდიდარი და გავლენიანი პირი იყო. იგი ერთადერთ ქალიშვილს მზრუნველობით ზრდიდა. ბარბარე საოცრად ლამაზი ქალიშვილი იყო, ამიტომ მამამ განიზრახა, დაფარულ ადგილას აღეზარდა. მამულის მიყვარდნილ, შემაღლებულ ადგილზე კოშკი ააშენა და ბარბარე, წარმართი აღმზრდელებითურთ, იქ დაასახლა. მაღალი სამყოფელიდან გადაშლილი ღვთაებრივი სილამაზის ბუნება ასულს შვებას ანიჭებდა. ბარბარე უფიქრდებოდა სამყაროს ჰარმონიულად შექმნის მიზეზს და რწმუნდებოდა, რომ უსულო კერპებს, რომელსაც მამა და აღმზრდელები ეთაყვანებოდნენ, ასეთი ბუნების შექმნა არ შეეძლოთ. ჭეშმარიტი შემოქმედის შეცნობის სურვილმა ისე შეიპყრო მისი სული, რომ გადაწყვიტა, მხოლოდ ამ მიზნისთვის მიეძღვნა მთელი ცხოვრება.



დიოსკორემ შვილის გათხოვება განიზრახა. ბარბარეს უარის მიზეზად მისი კარჩაკეტილი ცხოვრება მიიჩნია და ასულს მეტი თავისუფლება მიანიჭა. ბარბარე ქალაქში ქრისტიანულ მოძღვრებას გაეცნო და მოინათლა. იმ ხანებში დიოსკორე აბანოს აშენებდა. ბატონის ბრძანებით, მშენებლები ორი სარკმლის გაჭრას აპირებდნენ მზისა და მთვარის ღვთაებათა პატივსაცემად. ბარბარემ მესამის დატანება ითხოვა, რათა ადამიანის ნახელავში ღვთის სამგვამოვნება აღბეჭდილიყო. როდესაც დიოსკორემ ნაგებობაში მომხდარი ცვლილებების მიზეზი შეიტყო, ასულის თავის მოკვეთა განიზრახა. ბარბარე მამის რისხვას გაექცა და თავი მთის ნაპრალს შეაფარა. დიოსკორემ მიაგნო შვილს, ქალაქში ცემით დააბრუნა და ქვეყნის მმართველ მარკიანეს აცნობა, რომ მისი შვილი წამებით სიკვდილს იმსახურებდა. ბარბარე მმართველს მიჰგვარეს. ქალწულის სილამაზით გაკვირვებულმა მმართველმა ტკბილი სიტყვით სცადა მისი გადაბირება, მაგრამ ამაოდ. ბარბარე მკაცრად დასაჯეს და საპყრობილეში ჩასვეს. ყოველი სატანჯველის დროს თავად უფალი განამტკიცებდა დიდმოწამეს და წყლულებისაგან კურნავდა. სასწაულების ნახვით მრავალი ადამიანი იღებდა ქრისტიანულ სარწმუნოებას, ამიტომ მარკიანემ ბარბარეს მოკვლა განიზრახა. დიოსკორემ ქალიშვილი ქალაქგარეთ გაიყვანა და საკუთარი ხელით მოკვეთა თავი. იმავე წამს ზეციდან საშინელი ცეცხლი თავს დაატყდა და ერთიახად დაწვა. მისი ფერფლი ქარმა მიმოფანტა. მარკიანეს კი სასახლეში შესვლისას მეხი დაეცა და დაიწვა.

წმიდა ბარბარე 306 წლის 17 დეკემბერს აღესრულა.

დიდმოწამის წმიდა ნაწილებს, რომელთაც მრავალი სასწაული უკავშირდება, ქალაქ ილიოპოლისში დაასვენეს, შემდეგ კი კონსტანტინოპოლში. როცა ბიზანტიის იმპერატორ ალექსი კომნენის ასული რუს მთავარ მიხეილ იზიასლავის ძეს გაჰყვა ცოლად, მან მოწამის წმიდა ნაწილები თან წაიღო. ისინი დღემდე კიევის ვლადიმირის სახელობის საკათედრო ტაძარში განისვენებენ.

### წმიდა ნიკოლოზი

წმიდა ნიკოლოზი დაიბადა ლუკიის მხარის ქალაქ პათარში, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, შეძლებულ ოჯახში. მისი ღვთისმოშიში მშობლები დიდხანს ევედრებოდნენ უფალს შვილი მიმადლებოდათ. ღმერთმა ისმინა მათი თხოვნა და მიეცათ ვაჟი, რომელსაც ნიკოლოზი დაარქვეს. წმინდა ნიკოლოზის ამქვეყნიური ცხოვრება თავიდანვე სასწაულებით აღინიშნა. დაბადების დღიდან მისი დედა ნონა მრავალი ხნის უკურნებელი სენისგან განიკურნა. თავად ჩვილი ნიკოლოზი ნათლობისას ემბაზში სამი საათი ფეხზე იდგა, ოთხშაბათობით და პარასკეობით დედის რძეს მწუხრის ლოცვამდე არ იღებდა. წმინდა ნიკოლოზმა ბავშვობიდანვე ღრმად შეისწავლა საღმრთო წერილი, მთელ დღეს ტაძარში ატარებდა, ღამით ლოცულობდა და წმინდა წიგნს კითხულობდა.



მღვდლად კურთხევის შემდეგ წმიდა ნიკოლოზს უდაბნოში განმარტოებით ცხოვრების სურვილი ჰქონდა, მაგრამ უფლის ნებით, მისი ცხოვრება სხვა გზით წარიმართა. გამოეცხადა მაცხოვარი და პატიოსანი თვლებით მოოჭვილი სახარება უბოძა, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა ომოფორი უწყალობა. სულ მალე იმ ჩვენებიდან წმინდა ნიკოლოზი მირონ-ლუკის მთავარეპისკოპოსად აირჩიეს.

325 წელს ჩატარებული ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრების დროს (მას ესწრებოდა ბიჭვინთის მთავარეპისკოპოსი საქართველოდან) წმიდა ნიკოლოზმა სხვა მამებთან ერთად შეურიგებლად ამხილა იმ ხანებში ფართოდ გავრცელებული ალექსანდრიელი მწვალებლის, არიოზის ცრუმოძღვრება. გარკვეული შემთხვევის გამო, წმინდა ნიკოლოზს მღვდელმთავრის პატივი ჩამოართვეს. რამდენიმე მამის გამოცხადებით ეუწყათ, რომ წმინდა ნკიოლოზი მღვდელმთავრად თვით უფალმა აკურთხა, რის შემდეგაც უწინდელი ღირსება აღუდგინეს.

წმიდა ნიკოლოზი ღრმად მოხუცი 345 წელს მიიცვალა. მისი წმიდა ნაწილები დიდხანს ინახებოდა უხრწნელად მირონ-ლუკიის საკათედრო ტაძარში და მრავალი სასწაული აღესრულებოდა.

XI ს-ში საბერძნეთის იმპერიას მძიმე ჟამი დაუდგა. მაჰმადიანები არბევდნენ ტაძრებს, შეურაცხყოფდნენ წმიდანთა ნაწილებს, წვავდნენ ტაძრებს, ხატებს, შეურაცხყოფდნენ წმიდანთა ნაწილებს. განსაკუთრებით ცდილობდნენ, ქრისტიანთაგან პატივდებული მღვდელმთავრის ნაწილების ხელში ჩაგდებას. 1087 წელს მოსახლეობამ წმიდა ნიკოლოზის ნეშტი იტალიის ქალაქ ბარში ზეიმით გადაასვენა და დღემდე იქ განისვენებს.

### წმინდა საბა

ღირსი საბა განწმედილი V ს-ში დაიბადა კაბადოკიაში კეთილმორწმუნე ქრისტიანების ოჯახში. 8 წლისა შევიდა ფლაბიანოსის მონასტერში, ბევრს ეცადა ნათესაობა საერო ცხოვრებისკენ მის მობრუნებას, მაგრამ ამაოდ. 17 წლისა ბერად შედგა. მოღვაწეობიდან 10 წლის შემდეგ გაემგზავრა ჯერ იერუსალიმში, აქედან კი ექვთიმე დიდის ლავრას მიაშურა, ჯერ იერუსალიმში, სადაც 30 წლის ასაკამდე მოღვაწეობდა. ნეტარი საბა მკაცრი ასკეტური ცხოვრებით ცხოვრობდა. მან სრულ მარტოობაში გამოქვაბულში დაჰყო 5 წელი. საზრდოს მხოლოდ შაბათ-კვირას იღებდა.



უფლის რჩეული განუხრელად იბრძოდა მართლმადიდებლური ეკლესიის სიწმიდის დასაცავად. მან მკაცრად გაილაშქრა იერუსალიმის ახლად დანიშნული მწვალებლობისკენ მიდრეკილი ეპისკოპოს იოანეს წინააღმდეგ.

ღვთისაგან საკვირველთქმედების ნიჭმიმადლებული წმიდა საბა მრავალ სასწაულს აღასრულებდა: მისი ლოცვით უდაბნოში წყარო აღმოცენდა, საშინელი გვალვის დროს ძლიერი წვიმა გარდამოხდა, მრავალი სნეული და საშინელი ეშმაკეული განიკურნა, ბევრი გადაურჩა სასიკვდილო საფრთხეს. ნეტარ მამას მხეცებიც ემორჩილებოდნენ და ემსახურებოდნენ, ხშირად ისინიც ღებულობდნენ მისგან კურნებას.

წმიდა საბამ წინასწარ განჭვრიტა საკუთარი აღსასრული. იგი მიიცვალა 532 წ. 18 დეკემბერს (ახ. სტ.).

პუბლიკაცია მოამზადა
თეა ცირეკიძემ

## ისტორიის გაკვეთილები

### და ვჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა?

ორიათასი წლის 7 ნოემბერს შესრულდა ერეკლე მეორის, „პატარა კახად“ წოდებული მეფის დაბადებიდან ორასოთხმოცი წლისთავი. მას ცხოვრების მეტი ნაწილი ომებში გაატარა, ებრძოდა უძლიერეს მტრებს, არაერთხელ დალაშქრა, დაივასალა და მოხარკედ გაიხადა ერევნის, განჯის, ნახჭევანისა და სხვა სახანოები., კრწანისის ბრძოლაში, 1795 წლის 10-11 სექტემბერს ხუთიათასიანი მეომრით შეერკინა ოცდათხუთმეტათასიან აღა-მაჰმად-ხანის ლაშქარს და სძლია კიდეც; ღალატი რომ არა, სრულ გამარჯვებასაც მიაღწევდა.

უნდა ითქვას ისიც, რომ მიუხედავად დიდი სტრატეგიული ნიჭისა და პირადი ღირსებებისა, პატრიოტი მეფე ხშირად ვერ იჩენდა პოლიტიკურ საზრიახობას და სერიოზულ შეცდომებსაც უშვებდა. აქ უნდა აღინიშნოს 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის შედეგები საქართველოსთვის და 1790 წელს უარის თქმა იმერთა დელეგაციისათვის იმერეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოთა გაერთიანების შესახებ. მიუხედავად ამისა, იმერთა ვიზიტი მაინც წინგადადგმული ნაბიჯი იყო, რადგანაც მიღწეულ იქნა შეთანხმება საჭიროების შემთხვევაში ქართული სამეფო-სამთავროების ერთიან სამხედრო ძალად ჩამოყალიბების შესახებ.

რუსეთთან გაფორმებული ხელშეკრულებით, მეფეს მართლაც ეგონა, რომ სამუდამოდ დაიხსნებდა ქვეყანას ურჯულო მტერთა შემოსევებისაგან, თუმც მის ამ ნაბიჯს იმთავითვე გამოუჩნდნენ ოპოზიციონერები სასახლესა თუ გარე საზოგადოებაში. ანტირუსული მიმართულების ჯგუფი აშკარად ხედავდა დიდ ისტორიულ საფრთხეს, ატყობდა, რუსეთი საქართველოს დროებით იყენებდა - ვიდრე კავკასიაში ფეხს მტკიცედ მოიკიდებდა, ამასთან, სამეფო-სამთავროებს გააუქმებდა და იმპერიას მიუერთებდა. ყოველივე ამის გამო მსაჯულთუხუცეს სოლომონ ლეონიძისა და სარდალ დავით ორბელიანის ხაზი აშკარად იყო მიმართული ამ ტრაქტატის წინააღმდეგ.

უნდა ითქვას, რომ რუსეთის დიპლომატიური სახე დარეჯან დედოფალმაც შესანიშნავად დაინახა, როცა 1770 წელს, ასპინძის ბრძოლის წინ, რუსეთის ჯარმა ერეკლეს უღალატა და თურქ-ლეკთა დიდი ძალების წინაშე მარტო დატოვა. ამას მოჰყვა სხვა არაერთი ღალატი რუსეთის მხრიდან. დედოფალი ხშირად საყვედურობდა მეუღლეს რუსეთთან ურთიერთობის გამო, სხვადასხვა პოლიტიკური ხერხებით იბრძოდა კიდეც. ამ საქმეში მას მრავალრიცხოვანი და ღირსეული შვილების ხომლი ერტყა. ისინიც ნათლად ხედავდნენ ეკატერინე მეორისა და პავლე პირველის ნამდვილ სახეს, პარიკებისა და პუდრის ქვეშ დაფარულს.

მიუხედავად ერეკლეს პოლიტიკური ორიენტაციისა, ის მაინც საყვარელი მეფე ქართველი ხალხისა, რასაც სხვა ბევრი სახელმწიფოს მეთაური ნამდვილად ვერ დაიკვეხნის.

გიორგი ლომსიანიძე

## კადრები ქუთაისის უახლესი წარსულიდან

### შენობაში შესულთ საშინელი სანახაობა გვხვდება: ერთჯერადი შპრიცები, დაცლილი ვაზნები, ჩამსხვრეული მინები, ამომწვარი კედლები...

1992 წ. იანვარი

საქართველოსათვის ძნელბედობის ჟამი დგას. რუსეთის აგენტურამ და ჩვენი ქვეყნის ვაიპატრიოტებმა განდევნეს საქართველოს პირველი პრეზიდენტი.

კრიმინალურმა ბანდებმა, მალხაზ დვალიშვილის მეთაურობით 7 იანვარს დაიკავეს ქ. ქუთაისის პრეფექტურის შენობა და შეიარაღებულნი დათარეშობენ. უამრავი ხალხი დგას პრეფექტურასთან და კანონიერი ხელისუფლების დაბრუნებას მოითხოვს... ყოველივე უშედეგოდ. შეურაცხყოფას შეურაცხყოფაზე აყენებენ მომიტინგეებს. ნიღბიანი „დამცველები“ იარაღის მუქარით დევნიან ხალხის მომძლავრებულ მასას. ასე გადის 7,8,9,10 იანვარი. კვლავ მანიფესტაციები, მოთხოვნები კანონიერი ხელისუფლების აღდგენისა... მთელს ქალაქში ათასობით ქუთაისელი გამოდის. ისვრიან მათ დასაშინებლად; ავრცელებენ პროვოკაციას - ტანკებით და ბეტეერებით ხალხის გადასრესაზე...არავინ იძვრის... სიცივე, ყინვა, ქარი - ფეხს არ იცვლიან. ვიდეოკამერებით ყოველივეს აფიქსირებენ უცხოელი ჟურნალისტები.

11 იანვარი. ხალხის ერთობლივი მოთხოვნით ფირუზ დიაკონიძე და მიტინგის სხვა მეთაურები აღწევენ შენობაში. წარმოებს მოლაპარაკება დვალიშვილთან და „ოპოზიციის“ სხვა წარმომადგენლებთან. გარეთ ხალხი დრტვინავს და ელოდება გადაწყვეტილებას. შეიარაღებულნი იძულებულნი ხდებიან დატოვონ შენობა. გარეთ მყოფთა სიხარულს საზღვარი არა აქვს. კეთდება „კორიდორი“ და ასე ატარებენ გარეთ გამომსვლელთ, სიხარულისაგან ატირებული მანდილოსანი დვალიშვილს ეხვევა და მადლობას უხდის „გონს მოსვლისათვის“. ერთმანეთს ვულოცავთ მშვიდობიან გამარჯვებას.

შენობაში შესულებს საშინელი სანახაობა გვხვდება: ერთჯერადი შპრიცები, დაცლილი ვაზნები, ჩამსხვრეული მინები, ამომწვარი კედლები.

იქ შეკრებილ უამრავ მოქალაქეს მიმართეს და სიმტკიცისაკენ მოუწოდეს გ. ძოწენიძემ, ფ. დიაკონიძემ, ლ. კაცაძემ, მ. ახვლედიანმა და სხვებმა.

მთელი ღამე იცავდნენ შენობას, მაგრამ ისევ პროვოკაცია - შემზარავი კივილი: ბომბი ფეთქდებაო. შიგ მყოფნი ინსტიქტურად გამორბიან შენობიდან. ზოგიერთნი ერკვევიან ვითარების არსში და გარეთ არ გამოდიან, მაგრამ უკვე ყოველივე გათვლილია... თანდათან თენდება... შენობაში შემოცვენილი ნიღბოსნები ელიაშვილის მეთაურობით გარეთ ერეკებიან შიგ დარჩენილთ. კარში კი „დიდი დამარბევლები“ - „სპილო“, გოლეთიანი, პაპუაშვილი, მანაგაძე და სხვები გვხვდებიან და თავიანთი საშინელი მოქმედებებით ცდილობენ ხალხის დაშინებას. შეხლა-შემოხლასა და დარბევაში თავს ათენდებათ. მომიტინგეები ცდილობენ დაიცვან ერთმანეთი, ნიღბოსნებს იერიში მიაქვთ, ქალებს იმდენად არ ერჩიან. საშინელი სიცივეა, წვიმს, თოვლს ურევს, ქარი ქრის. ხალხი დრტვინავს და იბრძვის, მაგრამ არ ტოვებს პრეფექტურასა და მის შემოგარენს. კრიმინალები უკვე მთელს შენობას იკავებენ. მიტინგის ზოგი წარმომადგენელი გაჭირვებით ადის შენობის აივანზე და შეძახილებით ამხნევებს ხალხს.

იქმნება საშიშროება მათი აივნიდან გადმოყრისა. უცებ, გაისმის კივილი, შეშინებული გოგონა აივნიდან ხტება. ქვემოთ მდგომი მომიტინგენი მას ჰაერში იჭერენ. ამ ორომტრიალში „დიდი დამარბეველი“ და მისი რაზმი ხალხს დახვრეტით აშინებს. გაოცებული შევყურებ მათ და ვეკითხები: ნუთუ უნდა გვესროლოთ - მეთქი? არაო - მაწყნარებ. მიკვირს კიდეც და თანაც მიხარია.

კვლავ ყვირილი, ცემა, დევნა, ჰაერში სროლა. შეშინებული ხალხი იშლება... გარბიან. თოვლმა უკვე დაფარა ბაღის შემოგარენი... გაოგნებულს ახლოს მდგომი ნიღბოსნის ყვირილი მესმის - წასვლას მიბრძანებს. გამწარებული ვყვირი: მესროლე-მეთქი - არ შემიძლია, ქალი ხარო. გაკვირვება მინდოდა, ვერ მოვახერხე. დაიწყო ხალხის მანქანებით დევნა, რაც გვიან ღამემდე არ შეწყვეტილა.

ასეთ მღელვარებაში გადიოდა დღეები... საქართველოში შექმნილმა სამხედრო საბჭომ ქუთაისში წარმოგზავნა თავისი რწმუნებული ჯონი ქარჩავა. ისევ და ისევ იმართებოდა მანიფესტაციები კანონიერი ხელისუფლების დაბრუნების მოთხოვნით. კვლავ დევნა-შევიწროება, დაპატიმრებები არა მარტო მომიტინგეთა, არამედ პრესის გავრცელებისათვის. საშინელი მდგომარეობა იქმნება, სრული ინფორმაციული ვაკუუმია.

ჯონი ქარჩავამ, როცა მიტინგები ვეღარ აღკვეთა და დაპატიმრებებითაც ვერაფერი გააწყო, კინო „საქართველოში“ შეხვედრა შემოგვთავაზა კანონიერი ხელისუფლების მომხრეებს. 1992 წლის 6 თებერვალს შევხვდით, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ორივე მხარეზე. ამავე შეხვედრაზე ფ. დიაკონიძემ ხალხს გააცნო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 8 თებერვალს დავითობას ჩატარდებოდა მსვლელობა გელათისაკენ.

დიდი თოვლი მოვიდა ქუთაისში, დილის 9 საათზე, თავი მოვიყარეთ მოედანზე და დავიძარით გელათის ტაძრისაკენ. ქარი ქროდა, თითქმის მთელი გზა მოყინული იყო, რაც ძალზე ართულებდა სვლას. გზადაგზა გვდევნიდნენ მანქანებით, მაგრამ არავინ იშლებოდა და წვალებით მივდიოდით. შეკრებილი კაპიკებით ნაყიდ ყვავილებს გადატანილი „ომის“ შედეგად ღეროები დაატყდა. მომიტინგეები დაისვენებდნენ, ხეებიდან გლეჯდნენ სუროებს და გვირგვინებს აკეთებდნენ. დიდი თოვლის გამო გელათის ეზოში გვირაბი იყო გაჭრილი, მიუხედავად არსებული სირთულეებისა, პატივი მივაგეთ დავით მეფეს და წვალებით დავბრუნდით ქუთაისში. აქ კი ისევ დარბევები გველოდა...

ლოლო იობიძე

# კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის აღდგენა - მდგომარეობის გამოსწორების ერთადერთი გზა



საქართველოში ღრმა ეკონომიკური კრიზისია, რომელიც დღითიდღე უფრო მწვავდება, რაზეც მოსახლეობა სამართლიანადაა აღშფოთებული. ყველა სხვადასხვაგვარად ცდილობს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი გზების მოძებნას. გადავწყვიტეთ, შევხვედროდით საქართველოს ჰელსინკის კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის ეკონომიკის კომისიის თავმჯდომარეს ბატონ აკაკი ბაკურაძეს.

-ბ-ნო აკაკი, როგორ შეაფასებდით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას?

-უპირველეს ყოვლისა, მინდა თქვენ და ქუთათურებს მოგილოცოთ გაზეთ „ქუჯის" დაბადება. მჯერა, რომ იგი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქართველი ერის ეროვნული ცნობიერების ამაღლებაში, გააგრძელებს ქუჯი ერისთავის გზასა და ფუნქციას საქართველოს ერთიანობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

რაც შეეხება კითხვას, ვფიქრობთ მდგომარეობა საგანგაშოა. უაღრესად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ამ 9 წლიანი მართვის პერიოდში. დაკანონდა უკანონობა ყველა სფეროში. ვერავითარ ეკონომიკურ კონტროლს ვერ აწესებს სახელმწიფო თავის ტერიტორიაზე. უმწეო ჩანს ფისკალური პოლიტიკის გატარების გზები, შედეგები და სხვა. ყოველთვის დაგვიანებით მიიღება კანონი ბიუჯეტის შესახებ, სრულად ვერ ფინანსირდება სოციალური ხარჯები, უფრო მეტიც, ხდება მათი ე.წ. „გაყინვა", რასაც, შესაბამისად, თან ახლავს მოსახლეობის ძირითადი ნაწილის დანაზოგების არარსებობა და ვეღარ ხერხდება მათ „საკუთრებაში" მყოფი თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულირება, ეს კი, თავის მხრივ, საკრედიტო ორგანიზაციათა საქმიანობის სფეროში დეპოზიტირების სიმცირით აისახება. ამით პრაქტიკულად გამოირიცხება შესაძლებლობა, გამოითვალოს ზოგიერთი ფულადი აგრეგატი, და, საერთოდ, მონეტარული პოლიტიკის სხვა რაოდენობრივი მახასიათებლები. ამასთან, ოფიციალური მონაცემებით, იზრდება უმუშევრობა. თუ ასე გაგრძელდა, სოციალური აფეთქების საშიშროების ალბათობა აშკარად მოიმატებს.

- რა სიტუაციაა ამ მხრივ რეგიონებში?

- კიდევ უფრო უარესი. არაკონსტიტუციურმა სამხარეო მოწყობამ ახალი ბიუროკრატიული სტრუქტურები შექმნა, რამაც უარყოფითად იმოქმედა რაიონებში მეწარმეობის, საერთოდ, კერძო და შიდა მეურნეობის სექტორების განვითარებაზე. ამას ემატება მხარეთა ხელმძღვანელების თვითნებობა ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებების მიმართ და სხვა. მოკლედ, რასაც ჩვენი ხალხი უძლებს, გმირობის ტოლფასია.

- შეიძლება თუ არა ამ ეტაპზე რაიმე ძვრები განხორციელდეს?

- ეს შეუძლებელია, ვინაიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდი მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ფინანსური „დონორი" ორგანიზაციების პოლიტიკა უფრო დამპყრობლური აღმოჩნდა, ვიდრე მეგობრული. იგი გამიზნულია არა საქართველოს ეკონომიკის აღორძინების, არამედ მის კაბალურ პირობებში მოქცევისათვის, რასაც ხელი შეუწყვეს ფაქტობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელმა ბიუროკრატებმა საკუთარი ქონების ზრდის სასარგებლოდ. ამას თან ახლავს სამართალმემკვიდრეობითი საკანონმდებლო ბაზის არარსებობა. ასეთ ქვეყანაში კი რაიმე სასიკეთო ძვრებზე საუბარიც ზედმეტია.

- რას გვეტყვით საქართველოს საგარეო ვალებზე?

- დღესდღეობით არ ხორციელდება ინვესტიციებისა და სხვადასხვა საერთაშორისო კრედიტების მიზნობრივი ხარჯვა. ვითომ დახმარებისათვის იწვევენ უცხოელ ექსპერტებს, მაშინ, როცა ჩვენ ძლიერი ეკონომისტების დეფიციტს ნამდვილად არ განვიცდით. ჩვენთან მხოლოდ კანონის შესრულების დეფიციტია სახეზე. მოკლედ, იზრდება საქართველოს როგორც საშინაო, ისე საგარეო ვალი. საუბარია მილიარდობით დოლარზე, მით უმეტეს, რომ დაიწყო ამ ვალების დაბრუნების მკაცრი მოთხოვნა. საბოლოოდ, ვიდრე არ დამყარდება კახოხის უზენაესობა ქვეყანაში და არ აღდგება მისი გარანტი-კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობა, ამ ეტაპზე პრობლემების მოგვარება ფაქტიურად შეუძლებელია. ქვეყანას უნდა მართავდეს ჭეშმარიტად ეროვნული ხელისუფლება.

- ე.ი. დევნილი ხელისუფლების აღდგენა იქნება გარანტი მდგომარეობის დარეგულირებისა?

- რა თქმა უნდა, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ აღდგება 1991 წლის კონსტიტუცია, რომელიც კანონიერების გარანტიც იქნება და ეს საქართველოს ბევრად მომგებიან პირობებში ჩააყენებს როგორც შიდა, ისე საგარეო ურთიერთობების მხრივ. გადაისინჯება ვალები და რა ნაწილიც არ მოხმარებია ქვეყნის მოსახლეობას, პასუხისმგებლობა დაეკისრება ფაქტობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს. ასევე შეიძლება ვისაუბროთ პრივატიზირებულ ქონებაზე. და ეს ყველაფერი უნდა დაიწყოს მხოლოდ მშვიდობიანი გზებით.

- როგორი ეკონომიკური პოლიტიკა გესახებათ კანონიერი ხელისუფლების სამომავლო გეგმად?

- პირველ რიგში, უნდა გადამოწმდეს პრივატიზაციის შედეგები. ჩვენი ქვეყნის ეროვნული ქონება რაღაც მაქინაციებით მოსახლეობის იმ უმნიშვნელო ნაწილის ხელში აღმოჩნდა, რომელიც შემდეგში ე.წ. „კლანებად" ჩამოყალიბდა. უაზროდაა გასხვისებული სტრატეგიული - სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტები, რომლის ხალხის სამსახურში დაბრუნებასაც უზრუნველყოფს კანონიერი ხელისუფლება.

ამასთან, ჩასატარებელია მნიშვნელოვანი გარდაქმნები საგადასახადო პოლიტიკის სფეროში - არსებული საგადასახადო კოდექსი მეტად კაბალურ პირობებში აყენებს მეწარმეებსა და კომერსანტებს. ვფიქრობთ, მხოლოდ შერბილებული საპროცენტო განაკვეთებით შევუწყობთ ხელს წარმოების მოცულობის გაზრდას, რაც, საბოლოო ჯამში, გაზრდის საბიუჯეტო შემოსავლებს. ანალოგიურად მოგვარდება სხვა პრობლემებიც.

- შეუძლია თუ არა საქართველოს, გახდეს მძლავრი ინდუსტრიული ქვეყანა?

- მოდით, ვიყოთ რეალისტები. ასეთი რამ დღევანდელ სიტუაციაში შეუძლებელია. არა გვაქვს მანქანათმშენებლობის, ფერადი და შავი მეტალურგიის განვითარებისათვის აუცილებელი სანედლეულო სამამულო ბაზა, ყოველივე ეს კი იმის ბრალია, რომ შემოგვაქვს წარმოებისათვის სათბობი და ენერგია მაშინ, როცა ჩვენ თავად შეგვიძლია საკუთარ ნედლეულზე დაყრდნობით ავაღორძინოთ სოფლის მეურნეობა, მსუბუქი და კვების მრეწველობა, ტურიზმი და სხვა პერსპექტიული დარგები. ამას ემატება შრომითი რესურსების სახეზე მყოფი მაღალკვალიფიციური ნაწილი ქალების სახით, რომელთა დასაქმებაც, ძირითადად, იმ სფეროებში შეიძლება. ეს მათი უცხოეთში გადახვეწილი მეუღლეების ოჯახებში დაბრუნების საფუძველი გახდება... საბოლოოდ კი ყველაფერი დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესებაში აისახება და აღარც გადავშენდებით.



- თქვენი აზრით, ზემოთ აღნიშნულის გარდა, ეკონომიკის რომელ დარგებს უნდა მიექცეს განსაკუთრებული მნიშვნელობა?

- ისევ ვიმეორებთ, ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობას, მსუბუქ და კვების მრეწველობას, რადგან ისინი ძალზე პერსპექტიული დარგებია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სპეციფიკური ხასიათის მიხედვით. თუმცა ეს არ ნიშნავს მძიმე მრეწველობის დარგის საწარმოთა შეჩერებას. არა, აქ საუბარია პრიორიტეტულ დარგებზე.

- თქვენ შეეხეთ საგადასახადო პოლიტიკას, როგორი წარმოგიდგენიათ იგი მომავალში?

- ის უნდა ემსახურებოდეს მეწარმეს და კომერსანტს და არა პირიქით: ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზოგიერთ პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება, ხოლო არახელსაყრელი ტერიტორიული მდებარეობის რაიონებისათვის ზოგიერთ გადასახადებზე განაკვეთების საერთოდ მინიმუმამდე დაყვანაც კი. ასეთი პოლიტიკა ხელს შეუწყობს მეწარმეებს ადგილზე შექმნან პროდუქცია, რადგან ეს უფრო იაფი დაუჯდებათ და მათი საქმიანობაც სარფიანი გახდება. ამასთანავე, ადგილობრივი სამუშაო ძალის დასაქმებით მოხერხდება ქვეყნის მოსახლეობის შიგა მიგრაციის დარეგულირება, გაუმჯობესდება მათი სასიცოცხლო პირობები და ქვეყანაც ამოისუნთქავს. საქმიანობის პირველ ეტაპზე სამამულო პროდუქციის ბაზარზე დაცვის მიზნით მცირე ბიზნესისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესება აუცილებელია. ასევე შესაბამისი იმპორტული საქონლის შემოტანაზე საბაჟო გადასახადების შედარებით გაზრდა პირველ ეტაპზე მაინც. მოკლედ, საგადასახადო პოლიტიკა მეწარმისათვის უნდა იყოს არა უღელი, არამედ ეკონომიკის აღორძინებისა და განვითარების კატალიზატორი.

- იმედები და სურვილები?..

- ჩვენი ღრმა რწმენით, საქართველოს მომავალი კანონიერების, სამართალმემკვიდრეობის აღდგენაშია, მოსახლეობა ამაში სულ უფრო რწმუნდება, თუმცა უიმედობა და ნიჰილიზმი ცხოვრების თანამგზავრად მაინც რჩება. ამას ემატება მათი მძიმე მატერიალური მდგომარეობა. ყოველივეს მიუხედავად, ქართველი ხალხის ნება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მისაღწევად უდრეკია. საქართველო ხომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. თუ ავირჩევთ ბრძოლის მხოლოდ მშვიდობიან გზას, ჩვენს მიზნებს მალე მივაღწევთ, რაშიც ღრმად ვართ დარწმუნებული.

და ბოლოს, მინდა ვუსურვო მთელ ჩვენს ხალხს დღეგრძელი სიცოცხლე, გამძლეობა, ღვთის ულევი წყალობა და მომავალ თავისუფალ საქართველოში მშვიდად ცხოვრება.

ესაუბრა
ირმა ჩხეიძე

## ციფრები და სტატისტიკა

ციფრები ყველაფერს ამბობენ, საკმაო სიცხადით, მიუკერძოებლად, თუმცა ოფიციოზი ხშირად მათი მანიპულირებით ცდილობს სინამდვილის მიჩქმალვას და ამას დროებით თითქოს ახერხებს კიდეც. ჩვენი საზოგადოებისათვის უაღრესად საინტერესო იქნება ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების დინამიკა 1999-2000 წლების პერიოდში: კანონიერებიდან, თავისუფლებიდან — უკანონობამდე, თავისუფლების დაკარგვამდე (დროებით)...

რუბრიკით - „ციფრები და სტატისტიკა" - ბევრს გაიგებთ: რანი ვიყავით, რა დღეში ვართ და რა გველის. ყოველივე ამას კი მოსახლეობით ვიწყებთ, რადგანაც ყველაზე ძვირფასი ჩვენთვის, თავისუფლების და დამოუკიდებლობის გვერდით, საქართველოს თითოეული მოქალაქეა. მაშ ასე, რა გავლენა მოახდინა მოსახლეობის ბუნებრივ და მექანიკურ მოძრაობაზე 1991-92 წლების პუტჩმა და შემდგომმა პროცესებმა.

## რა გველოდება?

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი მაჩვენებელი 1990-1999წწ-ში.

ცხრილი №1

| წლები | შობადობა | | მოკვდაობა | | ბუნებრივი მატება | | ქორწინება | | განქორწინება | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რაოდენობა კაცი | კოეფიციენტი % | რაოდენობა კაცი | კოეფიციენტი % | რაოდენობა კაცი | კოეფიციენტი % | რაოდენობა კაცი | კოეფიციენტი % | რაოდენობა კაცი | კოეფიციენტი % |
| 1990 | 92815 | 17,0 | 45945 | 8,4 | 46870 | 8,6 | 36812 | 6,7 | 7796 | 1,4 |
| 1991 | 89091 | 16,3 | 46473 | 8,5 | 42618 | 7,8 | 38070 | 7,0 | 7440 | 1,4 |
| 1992 | 72631 | 13,3 | 46762 | 8,6 | 25869 | 4,7 | 26878 | 4,9 | 4890 | 0,9 |
| 1993 | 61594 | 12,6 | 48938 | 10,0 | 12656 | 2,6 | 24105 | 4,9 | 3211 | 0,7 |
| 1994 | 57311 | 11,8 | 41596 | 8,6 | 15715 | 3,2 | 21908 | 4,5 | 3089 | 0,6 |
| 1995 | 56341 | 11,6 | 37874 | 7,8 | 18467 | 3,8 | 21421 | 4,4 | 2685 | 0,6 |
| 1996 | 53669 | 11,1 | 34414 | 7,1 | 19249 | 4,0 | 19253 | 4,0 | 2269 | 0,5 |
| 1997 | 53020 | 10,7 | 37679 | 7,7 | 14341 | 3,0 | 13095 | 3,5 | 2267 | 0,5 |
| 1998 | 52020 | 9,3 | 39404 | 7,9 | 7437 | 1,4 | 15343 | 3,1 | 1758 | 0,4 |
| 1999 | 40778 | 8,9 | 40378 | 8,8 | 400 | 0,1 | 13845 | 3,0 | 1622 | 0,4 |

შობადობის კოეფიციენტების დაცემა ფაქტობრივი ხელისუფლების „გონიერი" დემოგაფიული პოლიტიკის შედეგია. იგივე ითქმის ბუნებრივი მატების და ქორწინების კოეფიციენტების კატასტროფულ შემცირებაზე. მოსახლეობის ინდივიდუალურმა ზრუნვამ საკუთარ ჯანმრთელობაზე მაინც შეძლო მოკვდაობის კოეფიციენტის შენარჩუნება. რაც შეეხება განქორწინებას, მდგომარეობა გაუმჯობესდა ვინაიდან, ჯერ ერთი, მარტოხელა დედა სრულებით უსუსური აღმოჩნდება სოციალური პირობების წინაშე და მეორეც, ხალხი სულ უფრო დაუბრუნდა ეკლესიურ ცხოვრებას, რამაც საბოლოო ჯამში დადებითად იმოქმედა ოჯახის სიმრთელეზე.

გაგრძელება მომდევნო ნომერში

# პოემა

• გივი ტყეშელაშვილი

## ახა, ჰე, ახა, ჰო, რუსის ჩექმებო....

### უხურიული ღამნაცეხები (ციკლი)

**I. ვეფხვები: ხიდრი ნახტომისაკენ**

ვეფხვები: ხეში წყალი დუღს
ადუღდა არყის ტყის ჭალა.
ვართ ბაბილონში და მუხლთან
როცა ამჟავდა ჯინჭველა
მწყუროდა; მახსოვს ჭინჭილით.
კოჭლი ჩექმები შრებოდნენ,
ენაზე - ბოლმით გინება.
და ქუსლზე ნაშაშრევიდან
ცეკვავდნენ სოკოს გველები.
სულ კუჭი გვაოცნებებდა;
„სერჟანტო, შენი დე...“ და ცა
თოვლზე ტილიან საბნებთან,
ძაღლივით იწვა დამრეცი.
ო, რა საფლავებს ღმურძლავდნენ
"раз, раз, раз"ერც დაიფიცებ:
იმ თეთრ ქალს ასე მუხლამდე
თუ გადაიტანს სიზიფეც.
ხვალ დავლევთ.... თეთრი ყირგიზი
მჯიღს ხრავს და მუხლისთავები
აღმოსავლეთის გიზგიზმა
ლოცვით წაართვა: მთქნარებით
დღეებიც კვდება თვეებიც.
და სძინავთ ბაბილონელებს
თითქმის ომია და ცივ ჭა -
ობთან კვლავ გამოგვიგლოვა
სანათესაომ ყვაჭიჭის.
და სძინავთ ბაბილონელებს
დათვმა არყის ხე მოფხაჭნა.
ვეფხვები! ხეში წყალი დუღს
ადუღდა არყის ტყის ჭალა.
ვართ ბაბილონში და მუხლთან
როცა ამჟავდა ჯინჭველა
მწყუროდა: მახოვს ჭინჭილით.

**II. იყის სმა: აფოფინდა სატანა**

ბრეკიდან არაყის სახდელები
ტანკივით გვემიზნება თან და იქ
ცხელოდა ჩაველით გახდილები
და ცეცხლი გვიკითხავდა აპდაიკს.
დუღდა ხორბალი და kaпუგორი
წინდაწინ შეათრო სიხარბემ.
წაფორხდა... და დადგა ბაიბური,
ახვნეშდა კაპიტანშას გვირაბი.
და ფსწყელა kaпუგორის ჩინ-მედლები
შეგრილდა არაყი და ტანიამ:
დავლიოთ-ე! არ დაგემადლება...
და ვწრუპეთ: აფოფინდა სატანა!
- არ მიყვარს რატომღაც ეს აზლუდი;
- მე ქმარი და ქამრები არ მიყვარს.
რა იყოფ! და უცებ ცხელი ზლუდე,
გაცივდა; იქ, მიხმობდა საყვირი.
ტომრები ფარაჯა და ტკბილი ორთქლი
ათრობდა ხეობათა ცივ სანგრებს.
აფსუს რატომღაც ვერ მიაგნეს.
და ფსევდნენ ნიმფები kaпუგორსა
და ცხვირზე მოაშენა ბოლოკი.
და ბოლოს - ხეობაში გაითოშა
გაითიშა და ბოლოს კი -
მუნდირი ააჭრელეს და ხალპებ ქვეშ
დალონდა ქერივი და ხელკავით,
წავიდა: და ყვავილები ლპება
ვშიმშილობ კუდმოგლეჯილ ხვლიკივით.

**III. ხორცთა ზიარი ჭურჭელი**

ჯაჭვში ვართ! მთვარის ყმები ვართ,
მარტო ხმები და მთვარე
წამოგვაყმუვლებს ხანდახან
და ხევში გადაგვათრევს.
მზე კიდევ გაურყვნელია
პოლკის დედაც და მართვე...
გასხლტება დათვის ვარსკვლავი
სლავის ჭორფლი და კარის-
კაცებთან მიაქვს ტკვარცალით
იყო, კვლავ წითელ ნამქერს.
და აბანოა ტაშტები
არყის ცოცხები და ცხელ
ორთქლიდან შეგეტოშება
უცებ მუმუ და რაღაც...
ქეცი გვიჭირს და ჭრელ პირსახოცს
გაშლის პეტროვნა და თურმე
ხუთქიმს ვერ წაშლი და ხორცი
ტკბება და თენთავს ნაურვევს.
მერე მექისე - ღრუბელი
ყველაფერს აურ-დაურევს.
შიგდაშიგ წამოაყეფებს
ტაჯიკს და ყვითელ ბერხენებს
გაფერავს უდაბნოს მეფე,
წინ გაიდენის ბერწ ცხენებს.
შევშრით; ბალანი დავმუკნეთ,
და ჯიგარს ქარი უვლის და
ყბები თუ შეგვაწკმუტუნებს
ძვლები კვლავ სცვივა ღრუბლიდან.
ჯაჭვში ვართ: მთვარის ყმები ვართ,
მარტო ხმები და მთვარე
წამოგვაყმუვლებს ხანდახან
და ხევში გადაგვათრევს...

**IV.** ***

მწიწკნიდა ყინვა... ცავარსკვლავქვეშ
ბოინგი ბოინობდა და ზე -
ცის აისბერგებს გადაეფრქვა
შეაწყდა ყინულის დეზი.
ვერ შევთბით.. ჭილყვავი წამოაგეს
ლულაზე და უცებ ჭილყვავისთვის
პირჯვარი გადვიწერე; შემაგინეს...
ისევ ვთქვი: ჭილყვავით არ გავისვრი.
და მომადგა kaпუდა მგინებელი
დათვი წითელი და ფარცაგ შავ
ღრუბელმა შემისრუტა და ნელთბილად
ქანაობდა თავბრუ.
ამოკრიფეს „სოცმტერი“ და თან განგებ
"Радина"გააბეს და ძვალი თავის -
ძალით გადააგდეს დღესაც
ხშირად მეცილება ვარდის ღამისთევას.
მახსოვდა ცეცხლი: ცავარსკვლავქვეშ
ქალდი მლოცველი და თან ღვინიან
ჯამით მომლოდინე, როცა თავქვე
ქროდნენ პლანეტები ნაღვლიანად.
მომქონდა ზურგი მკვდარ ვარსკვლავით
მითხრეს თუ: თოვლის ხმა მოვისმინოთ!
ტყდებოდნენ ფიჭვები და გარკვევით
თოვლის შრიალებდა: შიამონ! შიმონ!
ალლუმი! დარიგდა ჩინ-ორდენი,
მე ჩამსვეს დავითარს იქ ვირ-
თაგვებთან ვლოცულობდი მცირეოდენ
ასე და სითბო იგი მიკვირს...
მეშვიდე სიხარული... თეთრი დიონისე
აქაფქაფებულ და თითქმის ნატვრის -
ქალთან მეუბნება: მიდი სადაისოდ
ირხეოდეს დაე, სისხლიანი ქანდარი.
მივედი ვნახე! და ჩექმის კვალმა გააპო სარკე
და ჩუმ ალერსით
მივეც კეისრის და მივესალმე.
როგორც ხანჯალი ხანჯალს დაგესლავს
ქარქაში სძინავს მერე ალესილს.
დაგვადგა ლეტიუხა და წარბშევერით
გახედა ღვინის ღრუბლებს: როცა გულის -
ტკივილს წაუყრუა და ჩატეტკვილ
ჩარბით დაგვაკურთხა მოციქული;
ჰრქვა მას დიონისემ: მოგვცეს კიესრისა!
და ღვინის ღრუბლები მოწურა თვალმა.
ადგა ვასენკა და ყელი შეისრისა

**V. გოდოლი სამშვინელთა**

ცრუ სამშვინელნი;
სულ ღრუბლების მშობიარობა
მეც გავჩილაკრდი და მტვერს ყაზარმის
დააფრინდება წითელი ობი
და ბინდბუნდამდე შეგვაბალზამებს.
მძიმედ ხვრინავენ თითბრის თაობის
ინტერბიჭები არც თუ მწყაზარნი.
და ნავსიზმრები: და თათრის ფშვინვა
გაშლის ზეწრებს და ვითომ ტირის ბუ -
რუსში და თვალიც არ მოიფშვნიტა
გაახმორა და ტკვირავს წიწიბურს.
გემწყებსავს ბელადი და შავი ჩარჩო
და წმინდანები ბიუროდან: ო, ერთმა ციდა
მტკაველმა დღესაც დაიყვირა:
ღორს გაუმარჯოს!
ისე შემცივდა რომ გამეცინა
გამეცინა და ისევ შემცივდა.
და ნიკოტინი აშრიალებს ჭლექის ყვავილებს
ჩერქეზი კვნესის კიდობნიდან: ერთი ე, ამათ
სიზმრის ქალების გამიდები! მეც ეს გავივლე
გულში და სადღაც კიდევ მეამა.
იზრდება ღრუბლის ბამბურა ფიფქი
და ფანჯრის მინებს როცა გადლაბნის
ყინვა და თეთრი კაქტუსის ხიჭვი
აქლემს რომ ჩხვლეტს და ქარივით გარბის
გარბის და ხვნეშის უდაბნოს ბიჭი.
ჩვენ არ ხვყავს ღმერთი! და სამშვინელნი
ალრეულია და ქამრის ბალთებს
ვაპრიალებთ და მერე ნელ-ნელა
ნამგალ-ჩაქუჩის გვთრგუნავს სინათლე.
სიზმარი ყველას ვერ გაუმართლებს
სიზმარი ვნახე კვლავ საშინელი.
ცრუ სამშვინელნი...
სულ ღრუბლების მშობიარობა;
მეც გავჩილაკრდი და მტვერს ყაზარმის დააფ-
რინდება წითელი ობი
და ბინდბუნდამდე შეგვაბალზამებს!

**VI.** ***

მეშვიდე სიხარული... თეთრი დიონისე
აქაფქაფებულ და თითქმის ნატვრის -
ქალთან მეუბნება: მიდი სადაისოდ
ირხეოდეს დაე, სისხლიანი ქანდრი.
მივედი ვნახე! და ჩექმის კვალმა
გააპო სარკე და ჩუმ ალერსით
მივეც კეისრის და მივესალმე
როგორც ხანჯალი ხანჯალს დაგესლავს
ქარქაშში სძინავს მერე ალესილს.
დაგვადგა ლეტიუხა და წარბშეკვრით
გახედა ღვინის ღრუბლებს: როცა გულის -
ტკივილს წაუყრუა და ჩატეტკვილ
ჩარბით დაგვაკურთხა მოციქული;
ვრქვა მას დიონისემ: მოგცეს კეისრისა!
და ღვინის ღრუბლები მოწურა თვალმა.
ადგა ვასენკა და ყელი შეისრისა
ჭიქა შეისუნთქა; აავსო მადლობა
ს:მ:შობლოც დაივიწყა раз, два
ოვლებდა ნატვრის ქალი - თეთრი მიწა
განგებ და მე ვთქვი: მაინც თუ მკლავ -
ზედ თმებს გაიშლი და ნაძვის წიწვი
ნიყვსაც დაადინებს მწარე კურცხალს.
მივყევით ღვინის ღრუბლებს და დაისი
დაჭრილი დაეცა და სარკე სამარეა.
ჭურჭლის სადღეგრძელო შესვა დიონისემ
და მე ვიმეორებ: გათენდა მარია...

**VII. სულთაცვლა**

წითელი ვეშაპი! წევს იმპერიალი
და სანაოსთან სასწორი კანკალებს.
ვარ მუცლად! გასრულდა ხეტიალი
გულგვამში და მოწენილს გამთქნარებს
ფუტი და ნაცარი ამოაქვს ავქარებს.
ვეშისქალს ცრემლები დაელვენთა
ნიკაპზე და კვლავ მითხრა: დარჩი რა...
მე მქონდა სულთაცვლა და ეს ხვეწნა
არ ღირდა კაპიკად და არც ჩიხად.
იმ სისხლის სასახლეში მხოლოდ კენტად
ჭოტნი გაჰკიოდნენ ხმახშირად
სულთაცვლაა! და გიორგი ნატვრისკაცი
სანაკეზე შლის მეწამულ კარავს.
მოვცურავდი; თითქოს ვიყავ აფრიკაში
თითქოს ბინდად ბალდახინი მახლავს
თქვა გიორგი ნატვრისკაცმა: ჩვენად დარჩი!
თესლი ჰპოვებს სახლკარს...
და სულთაცვლა! გადაფრინდა ჟამთა დროშა
ცეცხლის კბილი დადგა წითელ ვეშთან.
მე დაბრუნდა გიორგისთან, ის გამშორდა
საქართველო გაუზენაესდა!
ქვესკნელი შექანდა
ზესკნელი საოცრად,
სიზმრები არასდროს არ მოჩანს
არასდროს მე ვიყავ ვეშაპთან.

# სპორტი

## ყველაზე ძვირადღირებულნი

გთავაზობთ, მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ ტარნსფერტთა სიას ფეხბურთში. სამწუხაროდ, ამ ოცეულში ქართველი ფეხბურთელის გვარს ვერ იხილავთ. იმედს არ ვკარგავთ, რომ უახლოეს მომავალში ისინიც იქნებიან ამ სიაში.

| ფეხბურთელი (სადაურობა) | წელი. რომელი კლუბიდანაა | რომელ კლუბშია | მლნ. დოლ. |
|---|---|---|---|
| ლუიშ ფიგუ (პორტუგალია) | 2000 ბარსელონა (ესპანეთი) | რეალი (ესპანეთი) | 56.1 |
| ერნან კრესპო (არგენტინა) | 2000 პარმა (იტალია) | ლაციო (იტალია) | 54.1 |
| კრისტიან ვიერი (იტალია) | 1999 ლაციო (იტალი) | ინტერი (იტალია) | 50.0 |
| ნიკოლა ანელკა (საფრანგეთი) | 1999 არსენალი (ინგლისი) | რეალი (ესპანეთი) | 35.7 |
| დენილსონი )ბრაზილია) | 1997 სან ასუდუ (ბრაზილია) | ბეტისი (ესპანეთი) | 35.0 |
| გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა) | 2000 ფიორენტინა (იტალია) | რომა (იტალია) | 33.8 |
| მარსიო სამოროზო (ბრაზილია) | 1999 უდინეზე (იტალია) | პ.ს.ჟ. (საფრანგეთი) | 33.1 |
| ნიკოლა ანელკა (საფრანგეთი) | 2000 რეალი (ესპანეთი) | ლაციო (იტალია) | 31.2 |
| კრისტიან ვიერი (იტალია) | 1998 ატლეტიკო (ესპანეთი) | ინტერი (იტალია) | 28.0 |
| რონალდო (ბრაზილია) | 1997 ბარსელონა (ესპანეთი) | ბარსელონა (ესპანეთი) | 27.9 |
| რივალდო (ბრაზილია) | 1997 დეპორტივო (ესპანეთი) | მილანი (იტალია) | 26.7 |
| ანდრეი შევჩენკო (უკრაინა) | 1996 ბლექბერნი (ინგლისი) | ნიუკასლი (ინგლისი) | 25.0 |
| ალან შორერი (ინგლისი) | 2000 ატლეტიკო (ესპანეთი) | ჩელსი (ინგლისი) | 22.4 |
| ჯიმი ჰასელბიან კი (ჰოლანდია) | 1992 ტორინო (იტალია) | მილანი (იტალია) | 21.5 |
| ჯანლუიჯი ლენტინი (იტალია) | 1998 ასტონ ვილა (ინგლისი) | მანჩესტერი (ინგლისი) | 20.5 |
| დუაიტ იორკი (ტრინიდადი) | 1996 პ.ს.ვ. ეინჰოვენი (ჰოლანდია) | ბარსელონა (ესპანეთი) | 20.0 |
| რონალდო (ბრაზილია) | 1998 რივერ პლეიტი (არგენტინა) | ლაციო (იტალია) | 19.7 |
| მარსელო სალასი (ჩილე) | 1998 სამპდორია (იტალია) | პარმა (იტალია) | 19.7 |
| ხუან სებასტიან ვერონი (არგენტინა) | 1992 საპდორია (იტალია) | იუვენტუსი (იტალია) | 19.6 |
| ჯანლუკა ვიალი (იტალია) | | | |

### ლონდონელი ბუკმეკერები თვლიან...

ლონდონელი ბუკმეკერები თვლიან ესპანეთის „ბარსელონას“ უეფას თასის მოგების ყველაზე დიდი შანსის მქონე კლუბად. მას მცირედ ჩამორჩება იტალიური „რომა“.

### რა ღირს ფინალური მატჩების ტრანსლაცია?

ახლახანს UEFA-მ ხელი მოაწერა ევროპის ტელერადიოსამაუწყებლო კავშირთან კონტრაქტზე - ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის ფინალური მატჩების ტრანსლიაციის უფლებაზე, რომელიც გაიმართება პორტუგალიაში. კონტრაქტის ღირებულება 200 მლნ შვეიცარიული ფრანკია (468 მლნ VSD)).

### რას აპირებს ბეკერი?

უემბლის სამგზის ჩემპიონმა ბორის ბეკერმა სულ ახლახანს განაცხადა რომ დიდი ხნის ქორწინების შემდეგ ცოლს სცილდება. „გარკვეული ხნის წინ ჩვენი ურთიერთობა ძალზე დაიძაბა“ - ნათქვამია ბეკერის განცხადებაში.

გაზეთ "Bild am Sonntag"-ში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ბარბარა (ბეკერის მეუღლე) გათხოვების შემდეგ უბედურად გრძნობდა თავს ვინაიდან უკვე შვიდი წელია არ უმუშავია, ახლა კი "Coca Cola"-ს პროდუქციის რეკლამირებას დაიწყებს. რაც შეეხება განქორწინებას, ამაზე საუბარი არ ყოფილა. შეგახსენებთ, რომ ხსენებულ წყვილს უკვე ორი ბავშვი ჰყავს.

○

მასალა მოამზადა
რამაზ ძირთაძემ

# ა ნ ო ნ ს ი

მომდევნო ნომრებში შემოგთავაზებთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთა პრობლემატურ წერილებს; აგრეთვე, ინტერვიუებს ჩვენს პოლიტიკურ ოპონენტებთან...

## დონე



1. ილიას რომელი ლექსიდან არის სიტყვები:
„უანგაროდ მივალთ წინა,
მარტო ის გვაქვს გულში ფიქრად,
რომ წინანი უკანასთვის
უნდა იქნენ გზად და ხიდად“?
2. 1860 წელს პეტერბურგში ვინ გარდაეცვალა ილიას და რომელი ლექსი დაწერა ამის გამო?
3. რომელ ფაკულტეტზე იყო ილია ჭავჭავაძე და მიიღო თუ არა დიპლომი?
4. ვინ იყო ილიას მეგობარი, რომელიც მასთან სწავლობდა სკოლაშიც, უნივერსიტეტშიც და ბევრ საინტერესო ცნობებს იძლევა ილიაზე?
5. რომელი რუსი კომპოზიტორის ოჯახში დაიარებოდა ილია პეტერბურგში ყოფნის დროს?
6. ვის უძღვნა აღტაცებულმა ილიამ ეს ლექსი:
„მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა...“?
7. რომელ ქართველ კომპოზიტორს ეკუთვნის რომანსი, დაწერილი ილიას ლექსზე „მესმის, მესმის სანატრელი...“?

## კვიმატი

[illegible]

- ბიძია, რა ღირს შენი პომიდორი?
- ხა. ხა. ხა...
- თქვი, ბიძია, ორი.
- ორი.
- [illegible]

[illegible]

[illegible]

## ტვინსაწნეხი



**თარაზულად:** 4. ქალაქი საქართველოში, რომლის მახლობლადაც მდებარეობს სიონის ტაძარი; 7. სულხან-საბა ორბელიანის სოფელი; 8. მდინარე დასავლეთ საქართველოში; 11. რისიმე გარე იერსახე; 13. თოკის ან ძაფის გადაბმის ადგილი; 14. მცირე ზომის საგაზეთო ნაწარმოები; 17. წარწერა კინოფირის კადრზე; 18. ისტორიული სოფელი ქართლში; 19. ბრმად მიღებული დაუსაბუთებელი დებულება; 22. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 25. ხეობა აფხაზეთში; 26. ინგლისში მოთამაშე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი; 27. უფლის სამოსელი; 28. სათათბირო ორგანო სრულიად საქართველოს კათლიკოს-პატრიარქთან; 30. კუთხის საზომი ერთეული.

**შვეულად:** 1; პირველი ქართველი ქრისტიანი დედოფალი; 2. მიტინგების დამრბეველი ძალოვანი სტრუქტურა საქართველოში; 3. ერთ-ერთი ცისფერყანწელი; 6. მოსკოველ ხელოვანთა თავშესაყრელი ადგილი; 9. პურის მოგროვება კალოებზე ჩამოთხოვით ეკლესია-მონასტრების სასარგებლოდ; 10. გიორგი I-ს განდგომილი ერთ-ერთი ერისთავის ადგილსამყოფელი; 12. ადგილი საქართველოში სადაც მოხდა „ძლევაი საკვირველი“; 15. ნედლი ანუ; 16. საქართველოს ისტორიული მხარე, ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე; 20. ხანგრძლივი უწვიმობა, დიდი სიცხე; 21. სიმინდის მეორედ გათოხნა; 23. ჯაჭვის პერანგი; 24. ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი; 29. მნიშვნელოვანი აზრი, განსაზღვრა.

# ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა

## გენიოსები და შეშლილები

♦ მონტანუსი სიცოცხლის ბოლო წლებში თავს ქერის მარცვლად მიიჩნევდა, რის გამოც არ უნდოდა ქუჩაში გამოსვლა, იმის შიშით, ფრინველებს არ აეკენკათ.

♦ შუმანის აზრით, მას ბეთჰოვენი და მენდელსონი საფლავიდან კარნახობდნენ სხვადასხვა მელოდიებს.

♦ ბოლემ, რომლის წინაშეც ყველა მათემატიკოსი მუხლს იდრეკდა, დუელში გამოიწვია 13 ახალგაზრდა და ორთაბრძოლებს შუა ვიოლინოზე დაკვრით ერთობოდა, ხოლო პენსია როცა დაუნიშნეს, ბრძანა, მოსაწვევი ბარათები დაებეჭდათ მისი დასაფლავების შესახებ და თავად გააკეთა კუბო.

♦ ბეთჰოვენი შემოქმედებითი მუშაობის დროს კარგავდა შიმშილის შეგრძნებას და მოსამსახურეს ლანძღავდა და არწმუნებდა, რომ უკვე ისადილა.

♦ სებუია, არაბი გრამატიკოსი, გარდაიცვალა იმის გამო, რომ მის მოსაზრებას, რომელიღაც გრამატიკული წესის შესახებ არ დაეთანხმა ხალიფა ჰარუნ არ რაშიდი.

♦ შოპენჰაუერი წონასწორობას კარგავდა და უარს ამბობდა გადაეხადა ანგარიშის მიხედვით, თუ მისი გვარის დაწერისას ორი „პ“ იყო გამოყენებული.

♦ ლუჩი დე ლანსევალი იცინოდა, როდესაც მას ფეხს ჭრიდნენ, მაგრამ არ შეეძლო აეტანა ეიფრუას მკვეთრი კრიტიკა.

♦ დიდროს, ეტლების დაქირავებისას, ავიწყდებოდა მათი დათხოვნა და ამიტომ ზედმეტი ანაზღაურების გადახდა უწევდა მუდამ. მასვე ხშირად ავიწყდებოდა თვეები, დღეები, საათები, იმ ადამიანთა სახელებიც კი, ვისაც ესაუბრებოდა.

♦ ამპერმა დაწვა თავისი ტრაქტატი „ქიმიის მომავლის შესახებ“ იმ მოტივით, რომ თითქოს იგი დაწერილი იყო სატანის შთაგონებით.

## ექიმი



♦ დიდი რაოდენობით მარილის მიღება მავნებელია ორგანიზმისათვის. ნატრიის მარილის ზედმეტი დოზა ხელს უწყობს სითხის შეჩერებას ორგანიზმში, რის შედეგადაც იზრდება წრიულად მოძრავი სისხლის მოცულობა, რაც დიდი დატვირთვაა გულისათვის. ძლიერდება სისხლძარღვთა სპაზმები, რაც იწვევს მათი კედლების შეშუპებას, რის შედეგადაც მატულობს არტერიული წნევა. მარილების დიდი რაოდენობა იწვევს თირკმლის კენჭოვანი დაავადების ჩამოყალიბებასაც.

♦ სისტემატურად ზედმეტი ჭამა იწვევს არა მარტო სიმსუქნეს, არამედ შეიძლება განვითარდეს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადება, გასტრიტი.

♦ წამლები, რომლებიც ტაბლეტის ან კაფსულის სახითაა, უკეთესია მიიღოთ ფეხზე მდგომმა ან დამჯდარმა, არავითარ შემთხვევაში დაწოლილმა. აუცილებელია დააყოლოთ წყალი. მაშინვე ნუ დაწვებით, თორემ წამალი შეიძლება მიეკრას საყლაპავ მილს და 10 წუთში დაიშალოს ისე, რომ კუჭამდე ვერ მიაღწიოს.

♦ კბილებზე სიყვითლის მოსაცილებლად შეგიძლიათ, ორ კვირაში ერთხელ, საჭმელი სოდა გამოიყენოთ. კბილის ჯაგრისზე დაყარეთ მცირეოდენი სოდა, დააწვეთეთ ლიმონის წვენი და კბილები გაიხეხეთ.

♦ დამწვრობის დროს იკეთებენ კომპრესებს გოგრის წვენისაგან.

♦ თუ ხმა ჩაგეხრინწათ, თქვენ კი ჩასატარებელი გაქვთ გაკვეთილი, ლექცია - აადუღეთ რძე, მოხადეთ ნაღები და ისუნთქეთ ქვაბზე თავდახრილმა. რძის ორთქლი ამცირებს ანთებით პროცესს და ხმა უფრო სუფთა ხდება. ინჰალაციის გაგრძელება შეიძლება აეროზოლებით: „კამეტონი“ და „ინგალიპტი“.

♦ ათეროსკლეროზის დროს სასურველია ნიორის 2-3 კბილის მიღება ყოველდღე. გრიპის წინაპერიოდში, ბრონქიტისა და ასთმის დროს წვრილად დაჭრილ ხახვს დააყარეთ შაქარი და ცოტა ხნით დადგით თბილ ადგილას. შემდეგ გამოწურეთ წვენი და დალიეთ სუფრის კოვზით დღეში 2-4-ჯერ.

♦ ხველების დროს ბოლოკი კარგი საშუალებაა. იყენებენ წვენს თაფლთან ერთად. ამოუღრმავეთ გული ბოლოკს, შეავსეთ თაფლით, დაახურეთ ბოლოკის ნაჭერი, გააჩერეთ 4 საათი. მიღებული წვენი დალიეთ სუფრის კოვზით 3-ჯერ დღეში. ასევე შეიძლება მისი გამოყენება გაციების დროსაც.

## დიასახლისი



○ ქაღალდის ფურცლებს რომ ცხიმოვანი ლაქები მოაშოროთ, ამისათვის ქაღალდზე დაყარეთ ცარცის ფხვნილი და მოაქციეთ ორ სქელ ფიცარს შორის. დატოვეთ 24 საათი. ლაქა გაქრება.

○ თუ რბილ ავეჯზე გადაკრულ ქსოვილს ცხიმოვანი ლაქები დააჩნდა, მისი გაწმენდა შეიძლება ცხელი პურის გულით, რომელიც რამდენჯერმე უნდა შეცვალოთ.

○ თუ სამუშაო ოთახში თუთუნის კვამლი დაგროვდა და მისი განიავების საშუალება არ გაქვთ, ოთახში დაკიდეთ წყლით გაჟღენთილი ღრუბელი. ის შეისრუტავს მთელ კვამლს.

○ კბილის ჯაგრისი კარგად იწმინდება სპირტგარეული თბილი წყლით. ნახევარ ჭიქა თბილ წყალში ჩაასხით 1 ჩაის კოვზი სპირტი.

○ შარვლის ნაკეცი დიდხანს დაიჭერს თავს, თუ ძმრიან წყალში დასველებულ ტილოს დააფენთ და ისე გააუთოებთ.

○ თუ ცხვირსახოცები გრიპიანობის დროს იხმარეთ, გარეცხვის წინ, ნახევარი საათით ადრე, დაალბეთ მარილწყალში, რის შედეგაც ადვილად გაირეცხება.

○ ნედლი შეშა რომ ადვილად აინთოს, მოაყარეთ ქვამარილის ნამტვრევები.

○ ძველი სალებავი იატაკიდან ადვილად მოსცილდება, თუ დაასველებთ წყლით, მოაფრქვევთ კალცირებულ სოდას და 10-12 საათის განმავლობაში ზემოდან დააფარებთ სველ ტომარას ან ჩვარს.

○ თუ გსურთ, რომ მწვანილი ახლად გამოიყურებოდეს (ოხრახუში, კამა, ქინძი), არ გარეცხოთ, ჩადეთ მინის ქილაში, დახურეთ პოლიეთილენის თავსახური და დადგით მაცივრის ქვედა თაროზე.

○ ხელებსა და დანაზე თევზის სუნის გასაქრობად საკმარისია მცენარეული ზეთის წასმა.

○ პურის შესანახი (საპურე) კვირაში ერთხელ გარეცხეთ სუსტი ძმრიანი ხსნარით და კარგად გამოაშრეთ. თუ თქვენ მასში მოათავსებთ ვაშლის, გასუფთავებული კარტოფილის რამდენიმე ნაჭერს, ან ცოტა მარილს, პური უფრო დიდხანს შეინარჩუნებს სიახლეს.

○ გაზქურაში რომ ნამცხვარი არ მოიწვას, ფორმის ქვეშ დაყარეთ ცოტა მარილი.

სარედაქციო კოლეგია:
ონისე ბანძელაძე (ლიტერატურა, ხელოვნება), გიორგი დანელია,
ხოზიძო ძაშაძე (საზოგადოება), გიორგი ლომსიანიძე (ისტორია), ტარიელ ფუტკარაძე,
ირმა ჩხეიძე (პოლიტიკა), თეა ცირეკიძე, ლელა ხაჭაპურიძე (რედაქტორი)

დირექტორატი:
აკაკი ბაკურაძე,
ლევან ფრუიძე,
კობა ცერცვაძე

რედაქციის მისამართი:
ქუთაისი, ქუპრაძის 32
ტელ.: 3-36-03
ელ. ფოსტა: kuji_@hotmail.com